პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

№ 122 (5223) | ორშაბათი, 30 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

20 წელი შესრულდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან

მხურვალე ბოლშევიკური სალამი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ყველა მუშაკს, სტუდენტობას — მოწინავე მეცნიერების მებრძოლ ადამიანებს!

წინ, სოციალისტური მეცნიერების ახალ-ახალი მწვერვალებისაკენ!

მოწინავე რევოლუციური მეცნიერების კერა

ორდენოსანი საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით ემზადებიან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის. სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზით გამთბარი ბედნიერი ქართველი ხალხი თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ მომენტში უდიდესი ზეიმით აღნიშნავს დიადი ოქტომბრის ღვიძლი შვილის, მოწინავე რევოლუციური მეცნიერების კერის, ბოლშევიკური კადრების დიდი სამჭედლოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო ზეიმს ქართველი ხალხი იმ მომენტში იხდის, როცა სულ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირი. ამ თათბირზე ხალხთა საყვარელმა ბელადმა, რევოლუციური მეცნიერების კორიფეემ, მშობლიურმა სტალინმა და საბჭოთა კავშირის სახელოვანი მთავრობის მეთაურმა ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვმა ნათლად და გარკვევით დასახეს უმაღლესი სკოლისა და იმ მეცნიერების ამოცანები „რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს. მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით“ (სტალინი).

საქართველოს უძველესი კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, რომლის წიაღში ჯერ კიდევ შვიდნახევარი საუკუნის წინათ შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი საუნჯე, უკვდავი „ვეფხის - ტყაოსანი“ — საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ითელებოდა ცარიზმისა და შემდეგ პირსისხლიანი მენშევიკების ბილწი ქუსლებით.

უნივერსიტეტის დაარსებაზე დიდი ხნიდან ოცნებობდნენ საქართველოს მოწინავე შვილები. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გაზეთი „დროება“ ეძებდა „ისეთ კაცებს, რომელთაც ხალხის კეთილდღეობისათვის შესტკივოდეთ გული და მისი დახმარებისათვის საკმაო ცოდნა და სურვილი ჰქონდეთ“... „უნივერსიტეტის შემწეობით ჩვენ გავიცნობდით ჩვენს თავს, — გულისტკივილით აღნიშნავდა გაზეთი — ჩვენ შევიტყობდით, რამდენი სიუხვე მოუცია ჩვენი ქვეყნისათვის ბუნებასა და მისი შემწეობით ამ სიმდიდრის გამოყენებას შევისწავლიდით“.

მაგრამ ხალხის მოწინავე შვილთა ეს ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, რადგანაც, როგორც ამხანაგ სტალინმა კლასიკურად განსაზღვრა: „ცარიზმი ავიწროვებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რათა მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ყოველგვარ ინიციატივას უხშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანებს, დაბოლოს, ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხის მასების ყოველგვარ აქტივობას“.

პირსისხლიანი ცარიზმი, იმის შიშით, რომ კავკასიაში უნივერსიტეტის გახსნით კიდევ უფრო გაძლიერდებოდა დიდი სტალინის მიერ დანთებული რევოლუციის ცეცხლი, რომ უნივერსიტეტი გადაიქცეოდა რევოლუციური მოძრაობის ციხესიმაგრედ, დაუნდობლად ახშობდა მასების მისწრაფებას, სასტიკი წინაალმდეგი იყო უნივერსიტეტის, ცარიზმის წარმოდგენით „კრამოლის“ ბუდის, გახსნისა.

არც უბადრუკი მენშევიკები იტკივებდნენ თავს ხალხის განათლებისათვის. ის ფაქტი, რომ თბილისის უნივერსიტეტის დაარსება მოხდა მოწინავე ინტელიგენციის ჯგუფის ინიციატივით, ყულაბებითა და ლატარიით შეგროვილი თანხებით, მენშევიკური სატრაპის სრული გულგრილობისა და ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, რომ უნივერსიტეტის გახსნას მენშევიკური ბულვარული პრესა დაცინვითა და სარკაზმით შეხვდა, — ერთერთი სამარცხვინო, შავი ლაქაა მენშევიკების ბატონობის შავბნელი ხანისა.

ამიტომ სავსებით სამართლიანია უნივერსიტეტის დაარსების მთავარი ინიციატორის, ჩვენი სასიქადულო მეცნიერის პროფ. ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: ოქტომბრის რევოლუციას რომ არ გაემარჯვნა, ჩვენ დღეს უნივერსიტეტი არ გვექნებოდაო.

ქართველი ხალხის მოსისხლე მტრების, დასავლეთის იმპერიალიზმის ქოფაკების, მენშევიკების ბატონობის წლებში თბილისის უნივერსიტეტი პირდაპირ საცოდავ მდგომარეობაში იყო. არავითარი ყურადღება, არავითარი მზრუნველობა უნივერსიტეტისადმი ქართული კულტურის ამ უზურპატორებს არ გამოუჩენიათ. ახლა ყველა მშრომელისათვის ნათელია, რომ მენშევიკებმა „მოშალეს ისედაც უძლური სამეურნეო ცხოვრება, გახრწნეს კულტურის ჯანსაღი ყლორტები, რომლებიც თვით ხალხში იფურჩქნებოდა, ღალატობდნენ ქართველ ხალხს და ჰყიდდნენ მას დასავლეთის იმპერიალისტებზე, ხელს უწყობდნენ საქართველოში მასების ჩაგვრას თავადებისა და აზნაურების მხრით“ (ლ. ბერია).

„ქართულ კულტურას, როგორც ამხანაგი ლ. ბერია აღნიშნავდა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს მიეცა სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საშუალება“. ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებამ უზრუნველჰყო საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი და სწრაფი ამაღლება, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის ისტორიაში უნახავი და გაუგონარი გაფურჩქვნა-აყვავება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება უნივერსიტეტის ზრდა, განვითარება, დავაჟკაცება; სწრაფად იზრდება მისი მატერიალური ბაზა, ფართო გასაქანი ეძლევა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას; საუკეთესო შენობები, პირველხარისხოვანი ლაბორატორია-კაბინეტები, უმდიდრესი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, მდიდარი და ტექნიკურად სავსებით უზრუნველყოფილი გამომცემლობა, სტუდენტთათვის გაზრდილი სახელმწიფო სტიპენდიები, პროფესორ - მასწავლებელთა გადიდებული განაკვეთები — ყველაფერი ეს საბჭოთა ქვეყანამ შეუქმნა ბოლშევიკური კადრების სხვა სამჭედლოებთან ერთად ჩვენს უნივერსიტეტსაც. ასეთი უდიდესი ყურადღებისა და მზრუნველობის შედეგად ჩვენმა უნივერსიტეტმა ქვეყანას მისცა სხვადასხვა დარგის 5.665 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გამოზარდა რამდენიმე ათეული ამჟამად ცნობილი მეცნიერი მუშაკი, რომლებიც წარმატებით მუშაობენ როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე წარმოშობილ ინსტიტუტებში, ისე საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

უნივერსიტეტი წარმატებით ასწორებს ამხანაგ ლ. ბერიას მიერ მითითებულ სერიოზულ ნაკლოვანებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ „პროფესორებსა და დოცენტებს შორის ჯერ კიდევ ფრიად მცირეა იმათი პროცენტი, ვისაც დაცული აქვს დისერტაცია მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხზე“.

ესმით რა „მეცნიერების ახალგაზრდა მუშაკებთან მეცნიერების ძველ მუშაკთა კავშირის აზრი, მნიშვნელობა, ყოვლისშემძლებლობა“, რომ მომავალი ეკუთვნის მეცნიერ ახალგაზრდობას, ჩვენი მხცოვანი მეცნიერი მუშაკები ძალღონეს არ ზოგავენ, რათა ახალგაზრდობას შესაძლებლობა მისცენ დაიპყროს მოწინავე მეცნიერების მწვერვალები.

უნივერსიტეტის კათედრებსა, ლაბორატორიებსა და კაბინეტებში ჩვენი მოწინავე პროფესორებისა და მეცნიერების ხელმძღვანელობით მუშავდება სოციალისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემები. ბევრი მეცნიერული პრობლემის დამუშავებასა და გადაჭრაში ჩვენს უნივერსიტეტს პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის მოწინავე უნივერსიტეტებს შორის.

ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა ჯანსაღ კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტს არ შეუძლიან მოსწყდეს ცხოვრებას, „ის არ არის და ვერც იქნება ისეთი დაწესებულება, რომელიც ცხოვრების მაღლა დგას. იგი თავისი არსებობის ყველა ფესვით დაკავშირებული უნდა იყოს რეალურ ცხოვრებასთან“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არსებობის 20 წლისთავზე დიდ წარმატებებთან ერთად აქვს ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ სავსებით არ არის ამოფხვრილი უნივერსიტეტში მოკალათებული, ამჟამად მხილებული და განადგურებული მტრების მავნებლობის შედეგები. ჩვენს უნივერსიტეტს ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდება უმაღლესი სკოლის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა მთლიანად განხორციელებისათვის. უნივერსიტეტის კოლექტივს დიდი მუშაობის გაწევა მოუხდება იმისათვის, რომ ურყევად განახორციელოს ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის და საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მითითებანი, მოცემული უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო თათბირზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით შესძლებს მის წინაშე დაყენებულ საბრძოლო ამოცანათა განუხრელად განხორციელებას.

მაშ, „ჩვენი მოწინავე მეცნიერების აყვავებისათვის!

მოწინავე მეცნიერების ადამიანთა დღეგრძელობისათვის!

ლენინისა და ლენინიზმის დღეგრძელობისათვის!

სტახანოვისა და სტახანოველთა დღეგრძელობისათვის!

პაპანინისა და პაპანინელთა დღეგრძელობისათვის!“

წინ, ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ სოციალიზმის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ, ორდენოსანი საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოდ!

— ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ყველა მეცნიერ მუშაკსა და სტუდენტს.

გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის მე-18 პარტიული კონფერენცია

29 მაისს, საღამოს 7 საათზე, შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის მე-18 პარტიული კონფერენცია.

კონფერენციამ საქმიან პრეზიდიუმში აირჩია ამხანაგები: **ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე, ი. კოჭლამაზაშვილი, ს. გოგლიძე, ს. იშხანოვი, მ. ჯაში, მ. ბარამია, ე. მაზანაშვილი, შ. წერეთელი, ვ. ტოგონიძე, ბ ქობულოვი.**

კონფერენციამ აირჩია აგრეთვე სამანდატო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

საპატიო პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია ამხანაგი

— **სტალინი!**

დიდი სტალინის სახელის გაგონებაზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება, ოვაციები დიდხანს არ ცხრება, გაისმის შეძახილები ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის პატივსაცემად.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ აგრეთვე ამხანაგები: **მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ეჟოვი, ჟდანოვი, დიმიტროვი, ტელმანი** და **ხოზე დიასი.** რასაც კონფერენცია მქუხარე ტაშით შეხვდა.

ამის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის მოვალეობის ამსრულებლის ამხ. **მ. ბარამიას** საანგარიშო მოხსენება. მოსმენილ იქნა აგრეთვე რაიკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **გ. გაბისონიას** მოხსენება.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **ქ. გეგუჩაძემ** (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), **თოხაძემ** (ზოოვეტინსტიტუტი), **ო. ლეჟავამ** (ბავშვთა საავადმყოფო), **აკოპოვმა** (ბაქტერიოფაგის მშენებლობა), **მ. ფალავანდიშვილმა** (სახ. კონსერვატორია), **ჭოლაძემ** (მედინსტიტუტი), **მესროპოვმა** („ზარია ვოსტოკა“) და **ფოფხაძემ** (სას.სამ. ინსტიტუტი).

კონფერენციის შემდეგი სხდომა დანიშნულია 31 მაისის საღამოს 7 საათისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის მე-4 პარტკონფერენცია

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის მე-4 პარტიული კონფერენციის 28 მაისის საღამოს სხდომაზე განხილულ და მიღებულ იქნა რეზოლუცია რაიკომის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

შემდეგ დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ი. ძებისაშვილმა** კონფერენციას გააცნო ფარული კენჭისყრის შედეგები. კონფერენცია მქუხარე ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ რაიკომის პლენუმის შემადგენლობაში ერთხმად არჩეულია დიდი **სტალინი.** ხანგრძლივი ტაშით შეხვდა კონფერენცია პლენუმის წევრად ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** არჩევას. პლენუმის წევრებად აგრეთვე არჩეულ იქნენ ამხანაგები: **ს. იშხანოვი, მ. ჯაში, მ გვიშიანი, ნ გაბუნია, ვ. ლელინი, ი. ძებისაშვილი** და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე პირველ დელეგატად კიროვის რაიონიდან არჩეულია ხალხთა ბელადი — დიდი **სტალინი.** დელეგატებად აგრეთვე არჩეული არიან ამხანაგები: **ლ. პ. ბერია, ვ. ბაქრაძე, ი. კოჭლამაზაშვილი, კ. ჩარკვიანი, ფ. მახარაძე, ს. იშხანოვი, პ. შარია, ი. ტიულენევი, მ. ჯაში, ნ. გაბუნია** და სხვ.

ფარული კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

29 მაისს შესდგა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი. რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ნ. გაბუნია,** მეორე მდივნად ამხ. **ვ. ლელინი** და მესამე მდივნად ამხ. **ი. ძებისაშვილი.**

პროფ. ივ. ჯავახიშვილი
საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი



პროფ. პ. მელიქიშვილი
თბილისის სახ. უნივერსიტეტის პირველი რექტორი (გარდაიცვალა 1927 წ.)

ამხ. გ. კიკნაძე
თბ. სახ. უნივერსიტეტის რექტორი, საქ სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი

თბილისის სახ. უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მხურვალე სალამს უთვლის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს — თავისი საუცხოო სამშობლოს საქართველოს ნაციონალური კადრების სამჭედლოს—მისი არსებობის 20 წლისთავზე.

საქართველომ, რომელსაც ბევრი ჭირ-ვარამი გადაუტანია გარეშე და შინაურ მტრებთან საუკუნოებრივ ბრძოლაში, მსოფლიო ისტორიაში ჩასწერა ბევრი საუცხოო ფურცელი ადამიანის გენიის გამარჯვებისა კულტურის დარგში. „საქართველო, ამბობდა საბჭოთა მთავრობის მეთაური ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი, — ეს არის მსოფლიოს ერთერთი უბედნიერესი კუთხე, რომელიც სავსეა ბუნებრივი სიმდიდრეებით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მდიდარია ადამიანებით, რომელთა ტალანტებიც ბრწყინავს საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში. ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ მოგვცა ამხანაგი სტალინი“.

დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით დღითიდღე იფურჩქნება სსრ კავშირის ხალხთა კულტურა — ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური. ლენინურ - სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკაზე დამყარებით თბილისის უნივერსიტეტი ჰქმნის მოწინავე მეცნიერების კადრებს. თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა აღზარდა დიდი მეცნიერნი მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტმა თავისი კედლებიდან განდევნა ხალხის მტრები, ტროცკისტ - ბუხარინელი და ბურჟუაზიულ ნაციონალისტი ჯაშუშები.

ბრძოლა მარქსიზმ - ლენინიზმის დაუფლებისათვის, მოწინავე მეცნიერებისათვის, მეცნიერებისათვის, „რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი“ (სტალინი) — აი საუკეთესო პროგრამა მოწინავე, სოციალისტური კულტურის მუშაკთათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალშიც ბოლშევიკურად შეასრულებს მის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანებს, დაუნდობლად იბრძოლებს ხალხის მტრებთან, წავა წინ ისტორიის დიდი აღმავალი კლასის — პროლეტარიატის მსოფლმხედველობის დაუფლებისათვის, მარქსიზმ - ლენინიზმის მოძღვრების დაუფლებისათვის, რომელიც „აშუქებს ისტორიული განვითარების გენერალურ გზას“ (მოლოტოვი).

თავის მხურვალე და გულწრფელ სალამს უგზავნის რა ახალგაზრდა ქართულ უნივერსიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი უსურვებს მას შემდგომ აყვავებას, და მით დიდი ქართველი ხალხის როლის განმტკიცებას მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის სოციალისტური კულტურის მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის, რომელიც მიდის წინ სოციალისტური ეპოქის უდიდესი სტრატეგის, ჩვენი ბრძენი და საყვარელი სტალინის ხელმძღვანელობით კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ და ჰგვის თავის გზაზე ყველა მტრებს.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი
ვ. ლ. კომაროვი

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები, აკადემიკოსები: გ. მ. კრჟიჟანოვსკი, ი. მ. გუბკინი, ე. ვ. ბრიცკე

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მდივანი აკადემიკოსი ა. მ. დებორინი.

მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების მდივანი აკადემიკოსი ა. ე. ფერსმანი

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარების კონცენტრაცია ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე

პრაღა, 29 მაისი (საკდესი). როგორც გაზეთი „დეილი ფრეიხეიტი“ იუწყება, ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან გრძელდება გერმანიის ჯარის კონცენტრაცია. გაზეთის სიტყვით, გერმანიის არმიის 8 კორპუსი (18-დან) ამჟამად თავმოყრილია ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მახლობლად — სილეზიაში, საქსონიაში, ტიურინგიაში, ბავარიასა და ავსტრიაში. ჯარის ეს რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ის ჯარი, რაც დაბანაკებულია გერმანიის ყველა დასავლეთ საზღვარზე. გერმანიის ხუთი სამხედრო ჯგუფიდან ამჟამად სამი დაბანაკებულია ჩეხოსლოვაკიის საზღვრებთან.

საბჭოთა ხალხის სიხარული

მთელს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგები.

მშრომელები უდიდესი სიხარულით შეეგებნენ ცნობას, რომ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები რეგისტრირებული არიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად.

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან იუწყებიან, რომ იმართება მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც გაისმის მღელვარე, სამშობლოსადმი დიადი სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული სიტყვები. მშრომელები თავიანთ გამოსვლებში მიტინგებზე ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რა სიხარულით მისცემენ ისინი ხმას მთელი საბჭოთა ხალხის კანდიდატს ამხანაგ სტალინს, მის უახლოეს თანამებრძოლებს, სამშობლოს საუკეთესო ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს — კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

აშხაბადში შემდგარ მიტინგს დაესწრო 60 ათასი მშრომელი. მიტინგის მონაწილეებმა მისალმება გაგზავნეს ამხანაგ სტალინის, მოლოტოვის, ანდრეევის, ვოროშილოვის, ეჟოვის სახელზე.

ტაშკენტში საერთო საქალაქო მიტინგს დაესწრო 100 ათასი მშრომელი.

სტალინგრადის მშრომელებმა გრანდიოზული მიტინგით აღნიშნეს დადგენილება ქ. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის საარჩევნო ოლქში რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვის რეგისტრაციის შესახებ. ქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ მოედნებზე შეიკრიბა 180 ათასი კაცი დროშებით, ლოზუნგებით, საყვარელი სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტებით. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მურმანსკის ოლქის შექმნის შესახებ

დამტკიცდეს სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მურმანსკის ოლქის შექმნის შესახებ ცენტრით ქ. მურმანსკში შემდეგი რაიონების შემადგენლობით: კიროვის, კოლის, ლოვოზერსკის, პოლარეთის, საამის, ტერიბერსკის, ტერსკისა და ქალაქ მურმანსკის, რომელნიც გამოიყოფიან ლენინგრადის ოლქიდან, და კანდალაკშის რაიონისა, რომელიც გამოიყოფა კარელიის ასს რესპუბლიკიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1938 წ. 23 მაისი.

დადგენილება

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

მურმანსკის ოკრუგის ლიკვიდაციის შესახებ

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მურმანსკის ოლქის შექმნასთან დაკავშირებით ლიკვიდირებულ იქნას მურმანსკის ოკრუგი.

სრულიად - რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი

სრულიად - რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ სრულიად-რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის
წევრი ა. არტიუხინა

მოსკოვი, კრემლი
1938 წ. 27 მაისი.

დირიჟაბლების გაფრენები ღამით

27 მაისს საღამოს, ღამის საწვრთნელი გაფრენა მოახდინა ორმა დირიჟაბლმა. „სსსრ ვ—1“ (მეთაური ამხ. გოლიკოვი) და „სსსრ ვ—8“ (მეთაური ამხ. პოჩეკინი).

საჰაერო ხომალდი „სსსრ ვ—8“ აფრინდა 22 საათსა და 45 წუთზე. მან რამდენიმე წრე გააკეთა სადირიჟაბლო პორტზე და 23 საათსა და 44 წუთს აიღო კურსი ლენინგრადისაკენ. 28 მაისს, 2 საათსა და 45 წუთზე, დირიჟაბლი „სსსრ ვ—8“ გასცდა ვიშნი ვოლოჩეკს და ზუსტად განაგრძობდა გზას კურსის მიხედვით. დილის 4 საათსა და 55 წუთზე საჰაერო ხომალდის მეთაური ამხ. პოჩეკინი იუწყებოდა, რომ მარშრუტზე კარგი ამინდია, ქარის ძალა უდრის 15-18 კილომეტრს საათში, ნალექები არ არის, ხილვადობა აღწევს 10 კილომეტრამდე. დილის 7 საათსა და 30 წუთს საჰაერო ხომალდი „სსსრ ვ—8“ მშვიდობით მივიდა ლენინგრადს.

დირიჟაბლმა „სსსრ ვ—1“ 27 მაისს ღამით 12 საათს დაჰყო ჰაერში და დაეშვა ბივუაკზე (ხომალდების სადგომი სადელი მოედანი ღია ცის ქვეშ).

გუშინ დილით ჩატარდა საწვრთნელი ფრენა ახალი მსუბუქი დირიჟაბლით „სსსრ ვ—10“, რომელიც აგებულია ინჟინერ კულიკის პროექტით. ამ ხომალდმა ჰაერში დაჰყო 3 საათსა და კარგი საფრენოსნო თვისებები გვიჩვენა. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ბურიატ-მონღოლეთის 15 წლისთავი

ხ. მ. ივანოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

სოციალისტური ბურიატ-მონღოლეთი დღესასწაულობს თავის თხუთმეტი წლისთავს. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ძმურ თანამეგობრობაში, სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი მზის ქვეშ, რუსეთის მუშათა კლასის დახმარებით ბურიატ - მონღოლეთის ხალხმა ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია.

მხოლოდ სსრ კავშირში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნა პირობები ბურიატიის განთავისუფლებული ხალხის მეურნეობისა და კულტურის აყვავებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ბურიატიის სოფლის მეურნეობამ სავსებით შეიცვალა სახე. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ბურიატთა ღატაკური მომთაბარული ცხოვრება.

რესპუბლიკაში ძირითადად დამთავრდა კოლექტივიზაცია. იგი 92,3 პროცენტს აღწევს.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ბევრად გადიდდა სათესი ფართობი. ბურიატ-მონღოლეთის რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში ნათესების ფართობი 123,6 ათას ჰექტარს უდრიდა, ხოლო 1938 წელს უკვე 392 ათას ჰექტარს მიაღწია.

1937 წელს პირუტყვის სულადობა, 1933 წელთან შედარებით, 124 პროცენტით გაიზარდა.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღმოცენდნენ საკავშირო მნიშვნელობის სამრეწველო საწარმოები, მათ შორის — უდიდესი ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, რომელშიაც არა მარტო ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტი სწარმოებს, არამედ იქმნებიან სამრეწველო მუშათა და მეთაურთა ახალი კადრებიც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობიდან. მიმდინარე წლის 1 მაისისათვის ქარხანამ გამოუშვა თავისი პირველი ორთქლმავალი „სო".

მექანიზებული მუშის ქარხანა, ხორცკომბინატი და წისქვილკომბინატი, რომლებიც მეორე ხუთწლედის განმავლობაში აშენდა, შეიარაღებულია უახლესი ტექნიკით. ახლა ამ საწარმოებში უკვე რამდენიმე ათეული ათასი მუშა მუშაობს. საბჭოთა კავშირში უაღრესად იშვიათი ლითონის — ვოლფრამის — სათვისებლად შენდება ჯიდინის კომბინატი, რომელიც უკვე ახლაც იძლევა პროდუქციას. ულან-უდის ახალი სამრეწველო ჯგუფი მუშაობს იმ თბოელექტროცენტრალის ენერგიით, რომელიც ახლად არის აშენებული ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. განზრახულია კმოევის დიდი სატყეო ქარხნისა და ბარგუზინის ტყავის ქარხნის მშენებლობა, შენდება ტიმლუისკის ცემენტის ქარხანა.

ბურიატ-მონღოლეთის მშრომელთა ფართო მასების სამეურნეო ძლიერებისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, სწრაფად აყვავდა ნაციონალური სოციალისტური კულტურაც. ახლა რესპუბლიკაში მოსახლეობის 92,8 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეა.

რევოლუციამდე ბურიატიას არ ჰქონია არცერთი ტექნიკუმი ან უმაღლესი სასწავლებელი. ახლა ჩვენ გვაქვს ათობით ტექნიკუმები და სამი უმაღლესი სასწავლებელი.

ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე მიღწეულ ყველა ამ უდიდეს წარმატებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მხოლოდ-დამხოლოდ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მზრუნველობას.

ყველა ეს გამარჯვებანი ბურიატიის ხალხმა მტრებთან ბრძოლაში მოიპოვა. ბურიატიის ხალხის უსაზიზღრესი მტრები—ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და ტროცკისტულ-ბუხარინული არამზადები, იაპონია-გერმანიის ფაშიზმის ეს საზიზღარი აგენტურა ცდილობდა ჩაეშალა ბურიატიის ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა.

ამ საზიზღარ ბანდას სურდა ბურიატ-მონღოლეთი იაპონიის იმპერიალიზმის მონურ კოლონიად გადაექცია.

ბურიატ-მონღოლეთის ბოლშევიკებმა მთელ ხალხთან ერთად, სახელოვან შინსახკომელთა დახმარებით, გაანადგურეს საზიზღარი ტროცკისტულ - ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ნაძირალები და დაანგრიეს მათი შხამიანი ბუდეები.

ამჟამად ჩვენი უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ შეუბრალებლად ამოვფხვრათ ბოლომდე და მოვსპოთ ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები, სასწრაფოდ მოვახდინოთ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია, გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, დავეუფლოთ ბოლშევიზმს და ბოლშევიკურად აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდა კადრები. ამას ჩვენ მით უმეტეს გვავალებს აღმოსავლეთში სოციალიზმის ფორპოსტის ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას უჭირავს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები აღინიშნა ბურიატ-მონღოლეთის ხალხის აქტივობის უმაგალითო ზრდით. ბურიატიის მშრომელები, ერთსულოვნად აძლევდნენ რა ხმას ლენინ-სტალინის დიად პარტიას, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, მოითხოვდნენ თავიანთ რჩეულთაგან გააათკეცონ სიფხიზლე და მთელი ყურადღება მიაქციონ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციას.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს და ბურიატ-მონღოლეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები ემთხვევა რესპუბლიკის 15 წლისთავის იუბილეს დღესასწაულს.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე უდიდესი მიღწევებით ხვდება ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკა თავის 15 წლისთავს. კომუნისტური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ბურიატიის მშრომელებმა გადააქციეს თავისი რესპუბლიკა სოციალიზმის ფორპოსტად აღმოსავლეთში.

დეპუტატობის ახალგაზრდა კანდიდატი

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩელუსკინელთა № 29 საარჩევნო ოლქის 600-მდე ამომრჩეველი მხურვალედ მიესალმა თავის კანდიდატს ამხ. ნ. ს. აგაშენაშვილს.

სიტყვას იღებს მე-6 საარჩევნო უბნის რწმუნებული პირი ამხ. ნ. მაისურაძე.

— თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენეს ამხ. ნინო აგაშენაშვილი. მან ეს ნდობა და პატივი სავსებით დაიმსახურა. 1935 წელს იგი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა გოგონა, შევიდა აბრეშუმის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. სკოლა დაამთავრა წარჩინებულად და უკვე 1936 წელს, ერთის ნაცვლად, 2 საქსოვ დაზგაზე დაიწყო მუშაობა დამოუკიდებლად. საუკეთესოდ შეუთავსა სტახანოვური მუშაობა სწავლას. ნინო მალე დააწინაურეს და ახლა მისი მეთვალყურეობა-ხელმძღვანელობით 60 დაზგა მუშაობს. ამხ. აგაშენაშვილი საუკეთესო კომკავშირელი და დაუზარებელი საზოგადოებრივი მუშაკია. აი ამიტომ წამოაყენა ამხ. ნინო ერთსულოვნად აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა. — ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. მაისურაძე.

ტრიბუნაზე ადის დიასახლისი ქალი ა. ივანიძე.

—ჩვენ განვიცდით სასიხარულო დღეებს. მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული არჩევნებით საქ. სსრ უმაღლეს საბჭოში ვირჩევთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილს — ნინო აგაშენაშვილს.

მშრომელი მილიონების შეხვედრა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებთან მხურვალე და დაუვიწყარია. ეს ნიშნავს საბჭოთა დიდი ქვეყნის მშრომელთა მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას. ჩვენ ყველანი ჩვენ ხმებს, როგორც ერთი კაცი, მივცემთ ჩვენს ღირსეულ კანდიდატს — კომკავშირელ აგაშენაშვილს.

სიტყვა ეძლევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **შალვა ნუცუბიძეს.**

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში — 12 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურ ურყევ ბლოკში მხარდამხარ მივიდა საარჩევნო ურნებთან. მათ ერთი მიზანი, ერთი მისწრაფება, ერთი სუნთქვა აკავშირებდა, განაცხადა პროფ. შ. ნუცუბიძემ. საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალედ დაუმტკიცა თავისი ერთგულება დიდ სტალინს. მან სოციალისტური ქვეყნის საუკეთესო შვილები წარგზავნა უმაღლეს საბჭოში.

ჩვენ, საბჭოთა ხალხმა, ვიცით, რომ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატები ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებია. მე მოგიწოდებთ ყველას — უკლებლივ მივცეთ ჩვენი ხმები ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სამაყო შვილებს.

— დუშეთის მაზრის სოფელ საკრამულოს ახლოს, სადაც მე დავიბადე, — სთქვა საპასუხო სიტყვაში ნ. აგაშენაშვილმა — ბაზალეთის ტბაა. ბავშვობისას, წავიკითხე რა ილია ჭავჭავაძის ლექსი, მინდოდა ტბაში ოქროს აკვანი ამომეჩინა, მაგრამ ამაოდ. ნამდვილად ოქროს აკვანი მე მომცა დიდმა სტალინმა, საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც მე გამომზარდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩელუსკინელთა ოლქის ამომრჩევლებმა უდიდესი ნდობა გამომიცხადეს. პირობას გაძლევთ არ დავივიწყო დიდი **სტალინის** მითითება დეპუტატთა მოვალეობაზე, ერთგულად და დაუღალავად ვემსახურო ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, მშრომელთა საქმეს. თავის სიტყვის დამთავრების შემდეგ ამხ. ნ. აგაშენაშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსები, რასაც ამომრჩევლები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შეხვედრა ენთუზიაზმითა და სიხარულით

თბილისის კალინინის № 11 საარჩევნო ოლქის მე-7 უბნის ამომრჩევლები ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლის კლუბში სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ თავიანთ კანდიდატს — ამხ. ს. ს. **ქსოვრელს.**

ამომრჩეველთა კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ნ. **კვინტრაძემ.**

— ჩვენ, — განაცხადა ამხ. კვინტრაძემ, — საქართველოს ყველა მშრომელებთან ერთად დიდად მოხარული და ბედნიერი ვართ იმით, რომ კაცობრიობის გენიოსმა, ჩვენი გამარჯვებების უდიდესმა ორგანიზატორმა ამხანაგმა **სტალინმა** თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

სტალინის ხსენებაზე მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მქუხარე ხანგრძლივ ოვაციებს მართავს. გაისმის ამომრჩეველთა მგზნებარე შეძახილები, რომლებიც გამოჰხატავენ დიდი სტალინისადმი უდიდეს სიყვარულს.

ტრიბუნაზე ადის მკერავის № 1 ფაბრიკის სტახანოველი ქსენია პერპენოვა, რომელიც აცნობს ამომრჩევლებს ამხ. ქსოვრელის ბიოგრაფიას.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინურ კომკავშირში აღზრდილი ამხ. ქსოვრელი ტრამვაელთა 3.000-ანმა მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა ერთსულოვნად წამოაყენა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ასეთი ზრდა, ასეთი უფლება ადამიანისა, მხოლოდ იმ ქვეყანაში შეიძლება, სადაც მშრომელები განაგებენ თავიანთ საქმეს, სადაც ადამიანი ყველაზე ძვირფას კაპიტალადაა მიჩნეული. ყოველივე ეს მოგვანიჭა ჩვენ ლენინ-სტალინის პარტიამ, — განაცხადა სტახანოველმა გოგონამ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა დიასახლისი მ. არაქელოვა.

— ის ნდობა და ვალდებულება, რომლითაც მე პატივი დამდეთ, — ამბობს სიტყვით გამოსული ამხ. ქსოვრელი, — შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში, იქ, სადაც თვითონ მშრომელნი არიან ყველაფრის ბატონ-პატრონნი. მე და თქვენ — აქ დამსწრე ამომრჩევლები — ერთნი ვართ. ჩვენ ერთი მიზნის, ერთი ამოცანის შესასრულებლად ვმუშაობთ. პატიოსანი შრომა და საამური ცხოვრება არის ჩვენი ხვედრი, ამას უნდა ვუმადლოდეთ კომუნისტურ პარტიას, მშრომელთა საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს.**

თქვენს ნდობას გავამართლებ. ბოლომდე ვიქნები ლენინ-სტალინის საქმის ერთგული, საკუთარ სიცოცხლესაც შევსწირავ ამ დიად საქმეს — საქმეს მშრომელებისას, სოციალიზმისას. (საქინფორმი).

პარტიული მუშაობის შემდგომი ამაღლებისათვის

ქ. ბეჟვაია

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამხანაგ **სტალინის** მოხსენება და საბოლოო სიტყვა ამ პლენუმზე მთელი ჩვენი პარტიისათვის საბრძოლო პროგრამა გახდა. პლენუმის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგი **სტალინის** მითითებების განხორციელებით აფხაზეთის პარტორგანიზაციამ უფრო მეტად აამაღლა თავისი რევოლუციური სიფხიზლე, უფრო მეტად განამტკიცა კავშირი მშრომელთა უფართოეს მასებთან.

ამხანაგ სტალინის მითითებებით შეიარაღებულმა აფხაზეთის პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის უშუალო ხელმძღვანელობით და ამხანაგ ლ. პ. ბერიას მეთაურობით, შინსახკომის სახელოვანი ორგანოების დახმარებით ჩაატარა დიდი განამწმენდი მუშაობა ხალხის მტრების — ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდის, უცხოეთის დაზვერვათა აგენტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების და ყველა ჯურის მტრის ნაბოლარების გამოსამჟღავნებლად და გასანადგურებლად.

ხალხის მტრებთან ამ დაუნდობელ ბრძოლაში პარტორგანიზაცია უფრო მეტად გამოიწრთო იდეურად, მან უფრო მეტად შეამჭიდროვა თავისი რიგები პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, დიდი **სტალინის** გარშემო.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ჩვენი პარტია აღჭურვეს ახალი საბრძოლო იარაღით ხალხის მტრებთან ბრძოლაში. ამ გადაწყვეტილებებში მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთხელ კიდევ იგრძნეს დიადი სტალინური ზრუნვა თვითეულ ადამიანზე, თვითეულ კომუნისტზე.

ბოლშევიკურად ასრულებდა რა ამ ისტორიული გადაწყვეტილების ყოველ პუნქტს, აფხაზეთის პარტორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის შემდეგ პარტიის წევრთა და კანდიდატთა უფლებებში აღდგენილია 153 კაცი.

აღდგენილთა დიდი უმრავლესობა ჩაბმულია აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებების შედეგად აღდგენილთა რიცხვიდან 10 კაცი არჩეულია პარტკომების წევრებად და პარტორგებად.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველა რაიკომსა და პარტორგანიზაციას არ ჩაუბამს აღდგენილები პარტიულ ცხოვრებაში. მაგალითად, პარტიის წევრთა და კანდიდატთა უფლებებში აღდგენილთაგან გალის პარტორგანიზაციაში 9 კაცს, სოხუმის საქალაქო ორგანიზაციაში 10 და გუდაუთის რაიონულ პარტორგანიზაციაში 5 კაცს დღეისათვის ჯერ არა ჰქონდათ მიცემული პარტიული დავალებები, ჩაბმული არ იყვნენ პარტიულ მუშაობაში. გარიცხულთა ჯერ კიდევ ყველა აპელაცია არ არის განხილული თვით საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტში.

წარსული წლის განმავლობაში პარტორგანიზაციამ დიდი მუშაობა ჩაატარა ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალი პარტიული კადრების დაწინაურების საქმეში. მრავალი რიგითი კომუნისტი საქალაქო და რაიონული აქტივიდან ამჟამად მუშაობენ პარტიის საოლქო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების ინსტრუქტორებად, პარტკომების მდივნებად.

ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია სულ 500-მდე პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი. მათ რიცხვში 204 პარტიის წევრია, 128 — კომკავშირელი და 142 უპარტიო. დაწინაურებული ამხანაგები წარმატებით ეუფლებიან თავის საქმეს. მაგრამ ჩვენი მუშაობის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მთელი რიგი პარტორგანიზაციები დაწინაურებულ ახალგაზრდა კადრებს ყოველთვის არ უწევენ სათანადო კონკრეტულ დახმარებას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 29 მარტის გადაწყვეტილებამ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ პარტიის წინაშე მთელი რიგი დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დააყენა.

დადგენილების გამოქვეყნებისთანავე პარტორგანიზაციამ გაშალა დიდი მოსამზადებელი მუშაობა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ორგანიზებულად ჩასატარებლად. ყველა რაიონებში ჩატარდა არჩევნებისადმი მიძღვნილი საინსტრუქციო თათბირები პარტკომების მდივნებისა და პარტორგებისა პარტიულ აქტივთან ერთად, აგრეთვე პირველადი პარტორგანიზაციების პარტიული კრებები.

საანგარიშო - საარჩევნო კრებები და რაიონული პარტკონფერენციები უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, ვიდრე წარსულ წელს. ისინი მიმდინარეობდნენ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტების დიდი აქტივობით, შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ დაცვის საფუძველზე.

კამათში რაიკომების, პარტკომების მდივნების, პარტორგების ანგარიშების გამო გამოვიდა კრებების მონაწილეთა 77%. კომუნისტებმა თავის ხელმძღვანელებს წარუდგინეს სულ ახალი და ახალი გაზრდილი მოთხოვნები, ისინი გაბედულად აკრიტიკებდნენ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებს. 142 პირველადი პარტორგანიზაციიდან 59-ში პარტკომების და პარტორგების მუშაობა ჩათვლილია არადამაკმაყოფილებლად.

აფხაზეთის პარტორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ მრავალია არსებითი ნაკლი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილების მომენტიდან პარტიაში მიღების განახლების შესახებ აფხაზეთის პარტორგანიზაციამ მიიღო სულ 301 კაცი. ამათგან კანდიდატებად მიღებულია 216, კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადაყვანილია 85 კაცი.

უფრო მეტიც, 142 პირველადი პარტორგანიზაციიდან 41-ს ჯერ კიდევ სრულებით არ უწარმოებია პარტიაში მიღება. ძალიან სუსტად მიმდინარეობს პარტორგანიზაციების შევსება მოწინავე კოლმეურნეთა ხარჯზე—მიღებულია მხოლოდ 61 კაცი (მიღებულთა საერთო რიცხვის 20%).

პარტიის ზრდისათვის რეზერვი მეტად დიდია. ჩვენ მრავლად გვყავს შესანიშნავი ადამიანები — სოციალისტური მინდვრების, ფაბრიკების, ქარხნების სტახანოველები, ადამიანები, რომლებიც ბოლომდე ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის საქმისა და ღირსნი არიან პარტიის რიგებში ყოფნისა.

სუსტი ზრდის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი რიგი პარტორგანიზაციები ყოველდღიურად არ ეწევიან კონკრეტულ მუშაობას უპარტიო აქტივთან.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც აფხაზეთის ერთერთი მსხვილი საწარმოს — „ტყვარჩელნახშირის" პარტორგანიზაცია. აქ მრავალი სტახანოველია. კომკავშირელია 288, პარტიაში კი მიღებულია მხოლოდ 10 კაცი.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია პარტიული პროპაგანდის საქმეც. მთელ რიგ წრეებში და სკოლებში ადგილი აქვს მეცადინეობის ჩაშლას, ზოგიერთი მსმენელი და თვით პროპაგანდისტიც მეცადინეობაზე მოუმზადებელი მოდის. გაზრდილ მოთხოვნებს ვერ უპასუხებს ჩვენი რაიონული პარტკაბინეტების მუშაობაც, რომლებმაც იგი უმთავრესად კონსულტაციებამდე დაიყვანეს, და ეს კონსულტაციებიც ყოველთვის არ არის მაღალხარისხოვანი. პროპაგანდისტთა კადრებთან და აქტივთან სერიოზულ და ღრმა მუშაობას კი ისინი თითქმის არ აწარმოებენ.

ძალიან იშვიათად იწვევენ რაიონულ და საქალაქო პარტიულ აქტივს.

უნდა ითქვას აგრეთვე, რომ საანგარიშო - საარჩევნო კრებებმა და რაიპარტკონფერენციებმა გამოავლინეს პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის სწორად შეხამების არცოდნის მრავალი მაგალითი. ცალკეული პარტორგანიზაციები დიდი ხნის განმავლობაში გაურჩეველს სტოვებენ ამათუიმ საწარმოო საკითხს. ამის შედეგად ჩვენ ცოტა როდი გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის დარგში.

ყველა ამ და პარტიული და სამეურნეო მუშაობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის ორგანიზაციის საოლქო პარტკონფერენცია, რომელიც გაიხსნება ა. წ. 30 მაისს.

კონფერენცია შეაჯამებს პარტორგანიზაციის მუშაობას წლის განმავლობაში, გაატარებს მას ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ქარცეცხლში და დასახავს კონკრეტულ გზებს მთელი პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის ახალი შემდგომი აღმავლობისათვის.

რევოლუციური სიფხიზლის ყოველდღიურად ამაღლებით, აქა-იქ კიდევ მიმალული მტრებისა და მათი ნაბოლარების ამოფხვრით პარტორგანიზაციამ უფრო სწრაფად უნდა აღმოფხვრას მავნებლობის შედეგები.

მასებთან კავშირის ყოველდღიურად განმტკიცებით, ბოლშევიკური აგიტაციის და პროპაგანდის გადაჭრით გაუმჯობესებით პარტორგანიზაცია ბოლშევიკურად უნდა შეხვდეს და ჩაატაროს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნები.

ეჭვს გარეშეა, რომ აფხაზეთის პარტორგანიზაცია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელობით შესძლებს შეასრულოს მის წინაშე მდგომი ამოცანები.

გ. ქიქნაძე

თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავი

ორდენოსანი საქართველოს მშრომელები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და მუშაკებთან ერთად, დღეს ზეიმობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი—ბოლშევიკური კადრების სამჭედლო, გაიზარდა, დავაჟკაცდა და სოციალისტური მეცნიერების ნამდვილ კერად იქცა ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგად. უნივერსიტეტის ნამდვილი აყვავების ხანა იწყება მას შემდეგ, რაც საქართველოს ბოლშევიკებს, მთელ ქართველ ხალხს სათავეში ჩაუდგა ამხანაგი ლ. პ. ბერია.

ჩვენი უნივერსიტეტის 20 წლისთავის ზეიმი ემთხვევა ქართველი ხალხის ისტორიის ერთერთ უბედნიერეს პერიოდს, როცა საქართველოს მშრომელები აღფრთოვანებით ემზადებიან უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, როცა უდიდესი გენიოსი, სოციალიზმის გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორი, ჩვენი მშობლიური სტალინი დასთანხმდა კენჭი იყაროს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე, როცა საქართველოს მშრომელებს ასეთივე თანხმობა მისცა ამხანაგი სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელოვანმა მეთაურმა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა.

ქართველ ხალხს აქვს თავისი უძველესი, მდიდარი კულტურა, რომლის შენარჩუნება მან შესძლო, მიუხედავად მრავალჯერ აკლებისა. უნივერსიტეტის დაარსების შესახებ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ოცნებობდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. 1871 წლის 3 ივნისის ნომერში გაზეთი „დროება" აღნიშნავდა: თუ „კიევში, ყაზანში, ხარკოვში, ოდესაში შესაძლებელი იყო, თბილისში რატომ არ შეიძლებოდა უნივერსიტეტის დაარსება?".

მაგრამ ცარიზმი ქართველ თავადაზნაურობასა და ექსპლოატატორებთან კავშირში ყოველმხრივ ახშობდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ინიციატივას. ბოლშევიკური პარტიის ორგანოს—გაზეთ „პრავდას" 1912 წლის 26 მაისის (8 ივნისის) ნომერში დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი სწერდა: „24 მაისს მინისტრთა საბჭოში განხილული იყო საკითხი კავკასიის უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

30 წელზე მეტია კავკასიის მოსახლეობა თხოულობს უნივერსიტეტის გახსნას ქ. თბილისში. ამ მიზნისათვის უკვე შეგროვილია ორ მილიონ მანეთზე მეტი, მაგრამ უნივერსიტეტი მაინც არ არის.

მინისტრთა საბჭოში კიდევ არ დამთავრდა ამ საკითხის განხილვა, იქ ჯერაც ისმენენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ბ-ნ ზუევისას, რომელსაც ეშინია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის გახსნით კიდევ მეტად დამკვიდრდება „კრამოლა" კავკასიაში.

მემარჯვენე პრესის ორგანოები მხარს უჭერენ პოლიციის დეპარტამენტს.

ღვთისმმოსავი „კოლოკოლი" ყველა „წვრილმან" და „მსხვილმან" ზარსა რეკს, რომ კავკასიის უნივერსიტეტი იქნება რევოლუციის ახალი ციხე-სიმაგრეო.

„ნოვოე ვრემია" გვაშინებს, რომ ახალი უნივერსიტეტისათვის ფული არ იკმარებს და ამას ამბობენ სწორედ მაშინ, როდესაც აპირებენ გატენილ ჯიბეებში გააქრონ 500 მილიონ მანეთზე მეტი!

„ზემშჩინა" ღაღადებს პროფესორების ნაკლებობაზე, მაშინ, როდესაც ათეულ პროფესორებს ხსნიან...

დამცველებს შიშს ჰგვრის სინათლის ყოველი შუქი და ისინი იბნევიან მტკიცებებში.

სინათლის შიში ყოველთვის იყო და რჩება განმასხვავებელ ნიშნად მათთვის, ვისთვისაც ხელსაყრელია ხალხის სიბნელე".

ამრიგად, ბოლშევიკურმა პარტიულმა პრესამ ვიჩესლავ მოლოტოვის ამ სტატიის სახით მთელი სისასტიკით გამოუცხადა ბრძოლა თვითმპყრობელობას და ყველა ჯურის მემარჯვენე შავრაზმელთა პოლიტიკას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებს საკითხში და მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი დარაზმა თბილისის უნივერსიტეტის გახსნის გარშემო.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის პირველ დღიდანვე ქართველი მოწინავე ინტელიგენციის ჯგუფის ინიციატივით, რომელსაც სათავეში ედგა პროფ. ივ. ჯავახიშვილი და რომელშიაც შედიოდნენ: პროფ. პ. მელიქიშვილი, პროფ. ი. ყიფშიძე, პროფ. ა. რაზმაძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, პროფ. დ. უზნაძე, პროფ. ა. შანიძე, პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი და სხვები, 1918 წლის თებერვალში საქართველოს მშრომელი მასების მხარდაჭერით საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის კერას — სახელმწიფო უნივერსიტეტს.

დღიდან დაარსებისა თბილისის უნივერსიტეტს არავითარი სახელმწიფოებრივი დახმარება და მზრუნველობა არ უნახავს მენშევიკური „მთავრობის" ბატონობის პერიოდში. პირიქით, მენშევიკები ყოველმხრივ აბრკოლებდნენ უნივერსიტეტის გამგეობის მუშაობას და ცდილობდნენ ჩაეშალათ უნივერსიტეტის განვითარების საქმე. უნივერსიტეტს არ გააჩნდა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისათვის ბაზა. იგი ყოვლად უბადრუკ მდგომარეობაში იყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განმტკიცდა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის მატერიალური ბაზა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ის, რომ 1920 წელს უნივერსიტეტზე დაიხარჯა 12.000 მანეთი (მენშევიკების ბონებით), 1937 წელს 14.950.000 მანეთი, ხოლო 1938 წლისათვის გათვალისწინებულია 17.588.000 მანეთის დახარჯვა.

უნივერსიტეტი ამჟამად მოთავსებულია საუკეთესო შენობაში; გარდა მთავარი კორპუსისა, მას აქვს სამი საკმაოდ დიდი შენობა; შენდება ფიზიკურ-ქიმიური კორპუსი, რომლის მოცულობაც უნივერსიტეტის ახლანდელ შენობას უდრის. ამ ახალ შენობაზე დაიხარჯება 10 მილიონი მანეთი.

უნივერსიტეტს აქვს 29 კარგად მოწყობილი კაბინეტი და 20 ლაბორატორია 1.310.000 მან. ღირებულებისა, უმდიდრესი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა 600 ათასი ტომით.

უნივერსიტეტის კათედრების სამეცნიერო პროდუქცია უზრუნველყოფილია გამოცემის შესაძლებლობით. მას აქვს მაღალი სასტამბო ტექნიკის საფუძველზე მოწყობილი თავისი სტამბა-ლაბორატორია და გამომცემლობა. 1934 წლიდან 1937 წლამდე მან გამოსცა 180 სხვადასხვა სახელწოდების ნაშრომი. აქედან სახელმძღვანელო 74-ია.

უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის ზრდასთან ერთად გაძლიერდა კადრების მომზადება. თუ 1929 წელს უნივერსიტეტში, როცა იგი აერთიანებდა აგრეთვე პოლიტექნიკურ, აგრონომიულ და პედაგოგიურ ფაკულტეტებს, სწავლობდა 2.414 სტუდენტი, 1933 წელს, აღნიშნული ფაკულტეტების გამოკლებით, სწავლობდა 3092 სტუდენტი, ხოლო ამჟამად უნივერსიტეტის 8 ფაკულტეტზე სწავლობს 4398 სტუდენტი. დღემდე უნივერსიტეტმა ქვეყანას მისცა 5.665 სპეციალისტი; აქედან მხოლოდ 1933/34 სასწავლო წლიდან დღემდე გამოშვებულია 3012 ეკონომისტი, იურისტი, მათემატიკოსი, ქიმიკოსი, ლიტერატორი და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთ ძირითად მიღწევას წარმოადგენს მეცნიერული კადრების მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები, ფაშიზმის დაქირავებული აგენტები, ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტები წლების მანძილზე ეწეოდნენ მავნებლობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ ვერ შესძლეს თავისი მუხანათური ზრახვების განხორციელება. ისინი განადგურებულ იქნენ.

ჩვენს უნივერსიტეტში მეცნიერული კადრების ზრდა ასეთ სურათს იძლევა: თუ 1920 წელს უნივერსიტეტს ჰყავდა 26 პროფესორი, 1937-38 სასწავლო წელს გვყავს 66 პროფესორი, მათში 40 დოქტორის სამეცნიერო ხარისხს მქონე, 1920 წელს იყო 7 დოცენტი, ხოლო 1937-38 სასწავლო წელს გვყავს 163. ამჟამად ასპირანტურაში სწავლობს 88 ასპირანტი.

ჩვენს უნივერსიტეტში სულ 1.045 მუშაკია. მათ შორის პროფესორ-მასწავლებელია 458, სასწავლო დამხმარე პერსონალი (ლაბორანტი, პრეპარატორი) 94, ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი—493.

უნივერსიტეტთან არსებობს დაუსწრებელი უმაღლესი პედაგოგიური განათლების სექტორი, სადაც სკოლისაგან მოუწყვეტლად სწავლობს 5.300 მასწავლებელი. დაუსწრებელ პედაგოგიურ სექტორს მსხვილ რაიონებში მოწყობილი აქვს საკონსულტაციო ბაზები.

უნივერსიტეტში 60 კათედრაა. კათედრების რაოდენობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა სამეცნიერო მუშაობის შინაარსი. კათედრების სამეცნიერო მუშაობის გარდაქმნა დაიწყო განსაკუთრებით საკავშირო სახკომსაბჭოს 1937 წლის ნოემბრის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ.

მეცნიერების მრავალ დარგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოგვცა მაღალი ხარისხის მეცნიერული პროდუქცია, რომელიც ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში და მის გარეთაც. ამ მხრივ აღსანიშნავია გეოლოგიის კათედრის მუშაობა ორდენოსანი პროფ. ალ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით; კრისტალოგრაფიისა და მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრისა— ორდენოსანი პროფესორის ალ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით.

დამსახურებული პროფესორი ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტმა, რომელიც ამჟამად ფიზიოლოგიის კათედრასთანაა შეერთებული, ჩაატარა უაღრესად დიდი მეცნიერული ხასიათის მუშაობა. 15 წლის განმავლობაში ფიზიოლოგიის კათედრისა და ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი ნაშრომი.

მათემატიკური მეცნიერების ერთერთმა გამოჩენილმა მკვლევარმა, აწ განსვენებულმა პროფ. ა. რაზმაძემ მაღალი მეცნიერული ღირებულების შრომები დასტოვა.

ამჟამად საქართველოში მათემატიკურ სკოლას ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი პროფესორი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, რომლის თაოსნობითაც საქ. მათემატიკურ სკოლას მთელს საბჭოთა კავშირში საპატიო ადგილი უჭირავს.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ბიოლოგიის, ბოტანიკის, გეოგრაფიის, ქიმიის, ფილოლოგიის, ისტორიის, ძველი ქართული მწერლობის, ახალი ქართული ლიტერატურის, არმენოლოგიის, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოსოფიისა და სხვა კათედრები.

უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, განსაკუთრებით მისი მუშაობის უკანასკნელ პერიოდში, სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში. ფრიადოსანთა რიცხვი გაიზარდა 1403 კაცამდე, ე. ი. სტუდენტთა მთელი რაოდენობის 34 პროცენტს უდრის. ამჟამად ძირითადად ლიკვიდირებულია სტუდენტთა აკადემიური დავალიანებებიც.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების განუწყვეტელი დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად დიდად გაუმჯობესდა პროფესორ-მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. გამყიდველი მენშევიკების ბატონობის დროს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები აუტანელ სივიწროვეს და მორალურ დამცირებას განიცდიდნენ, ახლა კი მეცნიერ მუშაკთა მატერიალური, მორალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდა და მიაღწია იმ სიმაღლეს, რომელზედაც იგი არ მდგარა, არ დგას და არ შეიძლება იდგეს კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შორის არიან ისეთი საზოგადოებრივი მუშაკები, რომელთაც თავიანთი აქტიური მეცნიერული და საზოგადოებრივი მუშაობით უდიდესი ჯილდო და საპატიო ადგილი დაიმსახურეს. ასეთებია: პროფ. ნ. მუსხელიშვილი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ნ. კეცხოველი, პროფ. ი. ბერიტაშვილი, პროფ. ალ. თვალჭრელიძე, პროფ. ალ. ჯანელიძე, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ა. შანიძე, პროფ. გ. ახვლედიანი და სხვ.

ჩვენმა უნივერსიტეტმა გამოზარდა ნიჭიერი, ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერთა კადრები, რომელნიც თავიანთი სამეცნიერო მუშაობით უდიდეს ყურადღებას იმსახურებენ. ასეთებია პროფესორ-დოქტორები: ს. ჯანაშია, ვ. კუპრაძე, ა. ჩიქობავა, ა. ხარაძე, ალ. ბარამიძე, ვ. თოფურია და სხვ.

მენშევიკების ბატონობის პერიოდში სტუდენტები არა თუ სარგებლობდნენ რაიმე სახელმწიფო დახმარებით—სტიპენდიით, ბინით და სხვა, არამედ, პირიქით, სწავლის ქირას იხდიდნენ, ამიტომაც სწავლის მიღება მხოლოდ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს შეეძლოთ.

ჩვენში 1933 წელს თვითეულ სტუდენტზე წლიურად გაწეული ხარჯები უდრიდა 1193 მანეთს, 1936 წელს იგი უდრიდა 2880 მანეთს, 1938 წელს კი იგი 3740 მანეთს აღწევს. თვითეულ სტუდენტზე სწავლის დაწყებიდან მის დამთავრებამდე 20 ათას მანეთამდე იხარჯება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერ კიდევ დიდი მუშაობის ჩატარება მართებს იმისათვის, რომ ბოლშევიკურად განახორციელოს საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 1930 წლის 23 ივნისის დადგენილება უმაღლესი სკოლის შესახებ. მას დიდი მუშაობის ჩატარება მართებს იმისათვის, რომ განახორციელოს პარტიის ბელადის, დიდი სტალინისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელოვანი მეთაურის, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის, ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის ისტორიული მითითებანი უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკების საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის მითითება:

„დაეუფლონ ლენინიზმს, ამაშია უმაღლესი სკოლის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ამაშია საბჭოთა სტუდენტობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა".

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი ამ საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის, რადგან მისი ხუთიათასიანი კოლექტივი გარემოსილია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების, პირადად საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ყოველდღიური მზრუნველობით და დახმარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერებისათვის ბრძოლისა და გამარჯვების ოცი წელი

მეცნიერების აყვავებისა, იმ მეცნიერების, რომელიც ხალხს კი არ ემიჯნება, ხალხისაგან შორს კი არ უჭირავს თავი, არამედ მზად არის ემსახუროს ხალხს, მზად არის გადასცეს ხალხს მეცნიერების ყველა მონაპოვარნი, რომელიც მომსახურებას უწევს ხალხს არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით, ხალისით (ტაში)

ი. სტალინი

უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წ. 17 მაისს წარმოთქმული სიტყვიდან.



პირველი რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): პროფესორები: ა. თვალჭრელიძე (ორდენოსანი), ა. ჯანელიძე, (ორდენოსანი), ქ. კეკელიძე, გ. ხაჭაპურიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ჯანაშია, ნ. მუსხელიშვილი, ა. შანიძე, ნ. კეცხოველი და ა. ჩიქობავა.
მეორე რიგი (მარცხნიდან მარჯვნივ): პროფესორები: გ. ნათაძე, ი. ჯავახიშვილი, ა. ხარაძე, ვ. ბერიძე, ს. დანელია, გ. გეხტმანი, მ. პოლიევქტოვი, ნ. ციციშვილი, ნ. ქორიავა და ი. მოსეშვილი.

ფოტო რ. აკოფოვისა

თქვენი თათბირი გამსჭვალებულია იმით, რომ ძირითადად უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი აგებულია, რომ უმაღლესი განათლების მთელმა საქმემ უკვე მიიღო საბჭოთა კავშირის შესაფერისი გაქანება და ჩვენ მოგვეპოვება ყოველივე, რაც კი საჭიროა უმაღლესი სკოლის შემდგომი განვითარებისათვის, უმაღლესი განათლების აყვავებისათვის.

ვ. მ. მოლოტოვი

უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირზე 1938 წ. 15 მაისს წარმოთქმული სიტყვიდან.

საბურთალოიუმ, თე ნავთლუღუმ?

მსოფლიო ომის წინა პერიოდი იყო. იმპერიალისტები გაფაციცებით ემზადებოდნენ ახალ-ახალი ქვეყნების დასაპყრობად. ცარიზმიც ოცნებობდა სამხრეთისაკენ გაწევას, სტამბოლის აღებას, ხმელთაშუა ზღვაზე ფეხის მომაგრებას, მესოპოტამიის ველებისაკენ დაშვებას და სხვ.

კავკასიის ერთა კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის არავის ეცალა. მოწინავე პირთა დიდი ხნის ოცნება, რომ თბილისში დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელი, ოცნებადვე რჩებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მეფის მთავრობამ გადმოუგდო კავკასიას, შუღლისა და ეროვნული კინკლაობის გაღვივების მიზნით, თბილისის პოლიტექნიკუმის დაარსების პროექტი.

შეიქნა ერთი აურზაური, თუ სად აეშენებინათ ეს უმაღლესი სასწავლებელი. საბურთალოში, გაიძახოდნენ ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელნი. არა, ნავთლუღშიო, ცხარობდნენ სომხის ბურჟუები. მახსოვს, თბილისში მოკალათებული სომხის ბურჟუაზიის ერთერთ ორგანოში მეთაური წერილი იყო დაბეჭდილი ამ სათაურით: „საბურთალოიუმ, თუ ნავთლუღუმ?“ („საბურთალოში, თუ ნავთლუღში?“). წერილის ავტორი ამტკიცებდა, რომ პოლიტექნიკუმი უთუოდ ნავთლუღში უნდა იქნეს აშენებული, რადგანაც ამას მოითხოვს თბილისის მოსახლეობის ინტერესებიო.

დიდმა ოქტომბერმა ბოლო მოუღო ასეთ უაზრო დაპირისპირებას, რადგანაც აღგავა ბურჟუაზიაც და თავადაზნაურობაც. ოქტომბერმა გადაწყვიტა—ერთის ნაცვლად მრავალი უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო ამიერკავკასიაში და, სხვათა შორის, თბილისსა და ერევანშიაც. დღეს საქართველოში 19 უმაღლესი სასწავლებელია.

ოცი წლის წინათ პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს კულტურული აღორძინების საქმეს. დღეს ეს უნივერსიტეტი ერთი მოწინავე უნივერსიტეტთაგანია, რომელიც ტონს აძლევს სამეცნიერო კვლევა-ძიებას ჩვენში.

პროფ. აკ. შანიძე.

ქართული მეცნიერებისა და კულტურის ზეიმი

მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებისა, რასაც თბილისში უნივერსიტეტის გახსნას უბადრუკი მენშევიკური ხელისუფლება უქმნიდა, იგი პროფ. ივ. ჯავახიშვილის თავდადებული მუშაობის შედეგად მაინც გაიხსნა იმ იმედით, რომ დადგებოდა უნივერსიტეტის მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები მშრომელი ხალხის ნამდვილი განთავისუფლებით და უნივერსიტეტი შეიქმნებოდა საქართველოს მშრომელთა კულტურული ზრდის უდიდესი იარაღი, რის ნიმუშსაც იძლეოდა ძლევამოსილი ოქტომბერი.

თბილისის უნივერსიტეტი, რომელსაც მენშევიკების ხანმოკლე ბატონობის ხანაში განადგურება მოელოდა, გაძლიერდა და აყვავდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. მაღალხარისხოვანი მეცნიერული პროდუქცია და სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მიწოდება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტი ოქტომბრის ღვიძლი შვილია.

უნივერსიტეტმა ბრწყინვალედ გაამართლა თავისი დანიშნულება სოციალისტური კულტურის მშენებლობაში: დღეს რომ საქართველოში მრავალი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებაა, ყველა მათგანს ფესვები უნივერსიტეტში აქვთ, რადგანაც მან მისცა მათ კადრები და მისი დახმარებით აიდგეს მათ ფეხი. დღეს რომ ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულება მეტოქეობასაც უწევს უნივერსიტეტს, მათი საფუძველი ჩვენს უნივერსიტეტშია. ყველაფერი ეს შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერებასა და საერთოდ კულტურულ წინსვლას ყოველდღიურად ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია.

რა მწარე მოსაგონარია ჩემთვის ის გაბოროტებული პასუხი, რომელსაც მივიღებდი ხოლმე მენშევიკური „სამინისტროსაგან“, როცა კათედრის საჭიროებისათვის მივმართავდი: „ყველაფერს ხომ უნივერსიტეტს ვერ მივცემთო“, ან რა გამანადგურებელ პასუხს მივიღებდით ხოლმე, როდესაც მივუთითებდით, თუ რა პატივშია მეცნიერება საბჭოთა რუსეთში. დღეს ეს მხოლოდღა მწარე მოგონებაა ჩვენი ბედნიერი ცხოვრების პირობებში.

დღევანდელი ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაული ზეიმია ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის.

პროფ. გ. ახვლედიანი

კულტურის კერა

უნივერსიტეტის არსებობის ოცი წლისთავი ერთერთი მუხლია სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა რეგისტრში. ოცი წელი კი არა, ასი წელიც არის მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი ღირსი იყო თავისი საკუთარი ნაციონალური უნივერსიტეტისა, მაგრამ ყოველივე ცდა ამ მიმართულებით განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა. ოქტომბრის გამარჯვებამ ეს ოცნებაც სინამდვილედ აქცია. ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიის ცნობილმა მოჭირნახულემ, უნივერსიტეტის ერთერთმა ფუძემდებელმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა თავის სიტყვაში სამართლიანად აღნიშნა, ოქტომბერს რომ არ გაემარჯვნა, დღეს ქართველებს უნივერსიტეტიც არ გვექნებოდაო.

დღეს ჩვენ გვაქვს არა მარტო უნივერსიტეტი, არამედ უმაღლეს სასწავლებელთა მთელი სისტემა, რომლებშიაც ოციათასამდე ქართველი სტუდენტი სწავლობს, ჩვენ გვყავს მეცნიერების მუშაკთა მოზრდილი არმია, რომელიც ქართული სიტყვის ფორმაში აყალიბებს მეცნიერების სოციალისტურ შინაარსს, ჩვენში მუშაობს საკვლევო და სამეცნიერო დაწესებულებათა მოზრდილი ქსელი, რომლის მიღწევებს პრაქტიკულად იყენებს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრია.

უნივერსიტეტის ზეიმი ყველა ამ დაწესებულებათა ზეიმიცაა, ყველა ისინი ისტორიულად უნივერსიტეტიდან გამოიჩეკენ და უნივერსიტეტიდან გამოიყვნენ. მე მეტსაც ვიტყვი. დღეს ქართული მეცნიერება მზად არის ახლო მომავალში იდღესასწაულოს მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში. სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში უკვე ყოველმხრივ მოამზადა ნიადაგი ამ საქმისათვის, ქუთაისში ჩვენ უკვე გვაქვს რეალური ბაზა ამ ისტორიული საქმის დასაწყებად.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი, ქართული მეცნიერების დიდი მეგობარი ამხანაგი ლავრენტი ბერია ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს, და მაშინ უდავოა, რომ ქართველ ხალხს მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტი ექნება.

დიდი სტალინის სამშობლო მეცნიერების ფრონტზეც თავის ისტორიულ სიტყვას იტყვის და სოციალიზმის გამარჯვებათა მონაპოვარს, განამტკიცებს და გააღრმავებს. იგი იბრძოლებს იმისათვის, რათა არც ამ ფრონტზე ჩამორჩეს, და საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალურ ოჯახში, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აღმშენებლობაში თავის სიტყვას იტყვის და თავის წვლილს შეიტანს.

პროფ. მოსე გოგიბერიძე

სამეცნიერო მუშაობის ოცი წელი

○

პროფ. ი. ბერიტაშვილი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

○

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ორგანიზაცია დაიწყო 1919 წ. იგი გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, სამოსწავლო და საკვლევო ლაბორატორიის მოწყობაში და, მეორე მხრივ, სათანადო თეორიული და პრაქტიკული სახელმძღვანელოს მომზადებაში.

კვლევითი მუშაობა ფიზიოლოგიის კათედრაზე დაიწყო 1922 წ. ამ წელს დაიბეჭდა მხოლოდ ორი შრომა, რის შემდეგაც კვლევითი მუშაობის განვითარება ფიზიოლოგიის დარგში მეტად სწრაფად მიმდინარეობდა. 1937 წ. კათედრამ გამოსცა დიდი კრებული, რომელიც შეიცავდა 25 ექსპერიმენტულ შრომას. ამას გარდა, ამავე წელს ჩვენ დავბეჭდეთ რუსულ პერიოდულ ჟურნალებში 15 შრომა. 15 წლის განმავლობაში (1922-1937 წ.), გამოქვეყნებული იყო ჩვენს მიერ 200-ზე მეტი შრომა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენი კვლევითი მუშაობა ეხებოდა კუნთოვანი, პერიფერიული ნერვული სისტემის და ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედების მთელ რიგ საკითხებს.

კათედრაზე დღეს მუშაობს 15 მეცნიერი თანამშრომელი, აქედან 4 დოქტორის და ოთხი კანდიდატის ხარისხით. მიმდინარე წელს კათედრამ უნდა დაამუშაოს 35 თემა. ამ მუშაობის ჩასატარებლად კათედრას შექმნილი აქვს: ფიზიოლოგიის, ბიოლოგიის, ჰისტოლოგიის და ქცევათმეცნიერების ლაბორატორიები.

ფიზიოლოგიის ლაბორატორიის კვლევით მუშაობას კარგად იცნობენ და აფასებენ როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

ეს საუკეთესოდ გამოიხატება შრომათა იმ გაცვლა-გამოცვლაში, რომელსაც ფიზიოლოგიის ლაბორატორია აწარმოებს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ არსებულ ფიზიოლოგიურ დაწესებულებებთან. ჩვენ ვღებულობთ შრომებს საბჭოთა კავშირის 185 დაწესებულებიდან და მეცნიერისაგან, ხოლო საზღვარგარეთიდან 168 დაწესებულებიდან და მეცნიერისაგან. ცნობილ ფიზიოლოგთა დიდი უმრავლესობა საჭიროდ სთვლის ჩვენ მოგვაწოდოს თავისი ახალი გამოკვლევები. ხშირად კიდევაც მოითხოვენ ჩვენი აზრის გამოთქმას მათ მიერ მიღებულ შედეგებზე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ 1208-მდე შრომა.

საბჭოთა კავშირში ფიზიოლოგიის ჩვენი ლაბორატორიის მუშაობა იწვევს დიდ ინტერესს ახალგაზრდა ფიზიოლოგთა შორის. ჩვენს ლაბორატორიაში მუშაობენ ასპირანტები კრასნოდარიდან, ყაზანიდან, სმოლენსკიდან; ამ სტრიქონების ავტორს იწვევენ საბჭოთა უნივერსიტეტები და საკვლევო ინსტიტუტები მოხსენებების და ლექციების წასაკითხავად ჩვენი მუშაობის შედეგებიდან. ამ უკანასკნელ წლებში ასეთი მოწვევა იყო მოსკოვის, ყაზანის, ლენინგრადის, უკრაინისა და ერევნის სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერული მუშაობის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ 1937 წ. ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა სრულიად-საკავშირო ყრილობა ქ. თბილისში იყო მოწვეული და ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა კარგა, ორგანიზებულად და ნაყოფიერად.

ორდენოსანი საქართველოს მშრომელი ხალხი დღეს ზეიმობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 20 წლისთავს.

ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და ამხანაგ მოლოტოვის ისტორიული სიტყვების საპასუხოდ და ამ იუბილესთან დაკავშირებით ფიზიოლოგიის კათედრის მეცნიერი მუშაკები კისრულობენ თავგამოდებით იბრძოლონ მეცნიერული მუშაობის შემდგომი წარმატებისათვის და უმაღლესი განათლების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის ქცევათმეცნიერების ლაბორატორიაში პროფ. ივანე ბერიტაშვილი (მარჯვნივ) და დოცენტი ალექსანდრე ბრეგაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ოქტომბრის ღვიძლი შვილი

ქართული უნივერსიტეტი 1918 წლის იანვარში გაიხსნა და ამის გამო შეიძლება ზოგ ვინმეს ეგონოს, რომ იგი დროებითი მთავრობის ან მისი ადგილობრივი ორგანოს—მენშევიკების მიერაა გახსნილი.

პირიქით: როდესაც 1917 წლის მიწურულში დაისვა საკითხი მომავალი წლიდან უნივერსიტეტის გახსნის შესახებ, „ეროვნული საბჭოს“ განათლების კომისიის თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა: ჩვენ უნივერსიტეტის გახსნის საკითხს შევუთანხმებთ კანონიერ (ე. ი. მენშევიკურ) ცენტრალურ მთავრობას, რომელიც ამ მოკლე ხანში შესდგებაო.

„კანონიერი მენშევიკური მთავრობა“ არ შემდგარა და „უკანონო“ ქართული უნივერსიტეტი კი გაიხსნა. იგი მართლაც მენშევიკური კანონის გარეშე იყო გამოცხადებული: მთავრობისაგან არავითარი დახმარება, თავისებური ბოიკოტი და სრული უყურადღებობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორებისა და სტუდენტების გამკილავ ლექსებს, „ეშმაკის მათრახში“ რომ იბეჭდებოდა.

მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტი მაინც არსებობდა „ქირსა შიგან“ გამაგრებული და თავისი არსებობა ჩააბარა მის ყველაზე უფრო მომვლელსა და დამფასებელს საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა მშრომელთ.

ამიერიდან მის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა, ხანა გაშლისა და ყოველმხრივი აყვავებისა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში ამხანაგი **ლ. ბერია** ჩაუდგა.

დღეს ჩვენი უნივერსიტეტი სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა რიცხვით, აგრეთვე სამეცნიერო მოწყობილობით საბჭოთა კავშირის მოწინავე უნივერსიტეტებს შორის ერთი პირველთაგანია. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ქართული უნივერსიტეტი დიდი ოქტომბრის ღვიძლი შვილია და სწორედ ოქტომბერია ის ძალა, რომელიც საქმით და არა მხოლოდ სიტყვით იძლევა დაჩაგრულ ერთა თავისუფლებას.

ოქტომბერმა მოგვცა ჩვენ თავისუფლება, მან დაგვიმკვიდრა უნივერსიტეტი და თვითეული ჩვენგანიც მაქსიმუმ შესაძლებლობას გამოავლენს, რათა გაამართლოს ოქტომბრის ეს ნდობა და აღზარდოს მტკიცე და ერთგული შვილები.

პროფ. **ვუკოლ ბერიძე.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის

○

პროფ. ივ. ჯავახიშვილი

○

თუმცა ოცი წელიწადი ქართველი ერივით მხცოვანი ერის ისტორიაში დროის მცირე მანძილია, რომ ადამიანის ყურადღება საგანგებოდ მიიპყროს, მაგრამ ზოგჯერ და ზოგიერთი მოვლენისათვის ამაზე უფრო მცირე ქრონოლოგიურ თარიღსაც ენიჭება ხოლმე მნიშვნელობა და საყურადღებო ხდება. რასაკვირველია, იმ ბედნიერ ერთათვის, რომელთაც წარსულში თავიანთი კულტურის განადგურება არასდროს არ უნახავთ, რომელთაც ამასთანავე ძველი საუნივერსიტეტო ტრადიცია აქვთ და ბევრი მრავალფეროვანი ისტორიის მქონებელი უმაღლესი სასწავლებელი მოეპოვებათ, კიდევ ერთი ახალი უნივერსიტეტის დაარსება არც განსაკუთრებულს რასმე წარმოადგენს, არც მისი არსებობის ოცი წლისთავი საგანგებო ზეიმის ღირს მოვლენად იქნება მიჩნეული. მაგრამ ცნობილია, რომ საქართველოს კულტურის ისტორიას სულ სხვა ბეჭედი ჰქონდა, და სწორედ იმ ხანაში, როდესაც დასავლეთ ევროპაში რენესანსად წოდებული დიადი კულტურული აღორძინება დაიწყო, ჯერ მონღოლთა, ხოლო შემდეგ თურქ-ირანელთა შემოსევა — მძლავრობის შედეგად, პოლიტიკურ უბედურებასთან ერთად, საქართველოს გონებრივი წარმატებაც სწყდება და კულტურის დაქვეითება იწყება. საქმე იმდენად უკუღმართად დატრიალდა, რომ, არამც თუ ქართული უმაღლესი განათლების ახალი ცენტრების შექმნა შეუძლებელი გახდა, არამედ ამ უბედურებამ განათლების ის ორი მთავარი კერაც კი იმსხვერპლა, რომელიც მე-12 საუკუნეში, დავით აღმაშენებლის დროს, იყალთოსა და გელათის აკადემიების სახით დაარსდა. უმაღლესი სასწავლებლების გაქრობას ვინღა ჩივის, როდესაც თვით ქართული სამეცნიერო შემოქმედება და მწერლობაც კი საუკუნეთა განმავლობაში თითქმის სრულებით დადუმებული იყო.

აი, თუ ამ ზემოაღნიშნულ გარემოებას გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ ასეთ ვითარებასა და გარემოებაში გასაკვირველი არაფერი იყო, როცა ამ ოცი წლის წინათ, 1918 წლის 26 იანვარს, თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისა და გახსნის დროს, აღტაცებულ ქართველ საზოგადოებას ეს თარიღი ისტორიულ თარიღად ეჩვენებოდა. უეჭველია, იმ დროს ასეთი მსჯავრიცა და თვით სახელწოდებაც ძალზე ნაადრევი იყო, რადგან ყოველი მოვლენა მხოლოდ მას შემდგომ და იმდენად შეიძლება ისტორიულად იქნეს მიჩნეული, რამდენადაც მას ან ხანგრძლივი არსებობა შერჩება, ანდა, ხანმოკლეობის მიუხედავად, მისი კვალი ისტორიაში მაინც მკაფიოდ აღიბეჭდება ხოლმე. ამიტომ მაშინ, 1918 წლის 26 იანვარს, ამ დღის ისტორიულ თარიღად სახელწოდება, რა თქმა უნდა, უფრო რწმენისა და იმედის ნაყოფი იყო, ვიდრე სინამდვილე.

რამდენი კარგი ოცნება ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, ულმობელი ბედისაგან დამსხვრეული... ვის შეეძლო იმ დროს დანამდვილებით ეთქვა, თუ როგორი მომავალი ექნებოდა ამ ახლად დაარსებულ დაწესებულებას, ანდა რამდენად გამძლე და ცხოველმყოფელი ძალღონით აღსავსე გამოდგებოდა იგი. მაგრამ მაშინდელი სიხარულიცა და გაზვიადებაც მაინც გასაგები და ბუნებრივი იყო.

წრეულს სწორედ ორი ათეული წელიწადი შესრულდა მას შემდგომ, რაც ჩვენი უნივერსიტეტი გაიხსნა და საქართველოს დედაქალაქში პირველი ქართული საუნივერსიტეტო ლექცია გაისმა და, თუ 1918 წელს ნახმარი გამონათქვამი მაშინ ჯერ ნაადრევი იყო, ოცი წელიწადი ხომ უკვე საკმაო ვადაა, რომ ამ უნივერსიტეტის დაარსების მიზანშეწონილობასა და მის მნიშვნელობაზე პირუთვნელი მსჯავრის დადება შესაძლებელი იყოს.

რამდენი იყო ჩვენში 1917 წელს, მაშინ, როდესაც ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე მსჯელობა სწარმოებდა, ისეთი განათლებული ქართველი, რომელსაც, ან მთელი ეს კამათი სასაცილო გულუბრყვილობად მიაჩნდა, ან და მის გაგონებაზე ღიმილი მოსდიოდა, რამდენი გვყავდა ბრძენი დამრიგებელნი, ჭკუის მასწავლებელნი და წინასწარმეტყველნიც კი, რომელნიც, მათი ღრმა რწმენით, სრულებით უნიადაგო და უიმედო განზრახვისაგან ხელის აღებას გვირჩევდნენ. ისეთებიც ხომ იყვნენ, მათ შორის მეცნიერნიც კი, რომელთაც მთელი ეს გეგმა და დაწყებული საქმე თვით ქართველებისთვისავე დამღუპველად ჰქონდათ პრესაშიაც კი აღიარებული: კულტურული დაქვეითების მეტი არაფერია საქართველოს მეცნიერული აზროვნებისათვის ამ გეგმის განხორციელებისაგან მოსალოდნელიო და იმავე დროს იგი პეტერბურგში (აწ ლენინგრადში) დიდი გაჭირვებითა და ხანგრძლივი მუშაობით შექმნილი სომხურ - ქართული ფილოლოგიის ერთერთი კერის გავერანებას უდრისო!..

ადამიანის რწმენა ისეთი რამეა, რომ თუნდაც ცამდის მართალი იყო, მაინც ზოგჯერ ვერასგზით ვერ დააჯერებთ, რომ თქვენ არ სცდებით და ის კი შემცდარია. მხოლოდ დრო და სინამდვილე გამოარკვევს ხოლმე ყველაფერს უცილობლად და ყველას ავსა და კარგს დაანახვებს.

ახლა ეს დროც უკვე დაგვიდგა და მას თავისი პირუთვნელი მსჯავრიც გამოთქმული აქვს. მართლაც და, განა მარტო ის გარემოებაც კი, რომ იმ უნივერსიტეტმა, რომელსაც სხვადასხვა მისან - მკითხავები და ქურუმები, ზოგნი დღემოკლეობას და ზოგნი კიდევ სწე-უკულმართობასა და საქართველოს კულტურისათვის შავბედითობასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ, ამ ოცი წლის განმავლობაში არსებობაც მოახერხა და ზრდაცა და გაფართოებაც შესძლო, უკვე თავის-თავად მისი სიცოცხლის უნარიანობის უცილობელი დამამტკიცებელი არ არის?

ამავე დროს ამ უნივერსიტეტიდგან გამოსული განათლებული პირების თვალსაჩინო რაოდენობაც რომ საქართველოს სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ასპარეზზე მუშაობს, ესეც ხომ ამ დაწესებულების, ვითარცა უმაღლესი სასწავლებლის, მთელი საბჭოთა საქართველოს სოციალისტური აღორძინებისა და აღმშენებლობისათვის მნიშვნელობასაც სრული სიცხადით ამჟღავნებს. მაგრამ მაინც ზემოაღნიშნულზე თუ მეტად არა, ქართული კულტურისათვის იმაზე არა ნაკლებ საყურადღებო და ძვირფასი ის გარემოებაცაა, რომ ამ უნივერსიტეტმა ამასთანავე თავის სწავლადამთავრებულ მსმენელთაგან ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში ახალი სამეცნიერო დარგების კარგ მეცნიერ მკვლევართა მომზადებაც შესძლო, რომელთაგან ზოგი უკვე სამეცნიერო აკადემიური ხარისხის მქონებელია, პროფესორიც გახდა და თავის სპეციალობაში ღირსეულად საპატიო ადგილი უკავია.

დასასრულ, ამასაც ხომ უკვე ვერცერთი სვინდისიერი კაცი ვერ უარჰყოფს, რომ უნივერსიტეტის დაარსებამ ქართული სამეცნიერო შემოქმედებისა და მწერლობის მკვდრეთით აღდგენასაც ხელი შეუწყო!

ახლა კი ყოველი პირუთვნელი ადამიანი, რომელიც ზემოაღნიშნულ ყველა გარემოებას გაითვალისწინებს, უეჭველია დარწმუნდება, რომ 1918 წლის 26 იანვარი ქართული კულტურის ისტორიის მართლაც უმნიშვნელო თარიღი არ ყოფილა.

ამიტომაც დროა, რომ უნივერსიტეტის დაარსებისა და თანდათანი ზრდის ყველა გარემოება გულდასმით აღნუსხული და შესწავლილი იყოს. გახურებული სასწრაფო მუშაობის პროცესში ჩაბმულ პირებს ჩვეულებრივ არც დღიურებისა და არც მოგონება მემუარების წერისათვის არ სცალიანთ ხოლმე. ოფიციალურ საბუთებსა და ქაღალდებში კი მხოლოდ ზოგიერთ მოვლენათა უმთავრესად უფლებრივ-ფორმალური გარეგანი მხარეა ხოლმე აღბეჭდილი, შინაგანი მხარე კი, ამ მოვლენათა გამომწვევი და ამამოძრავებელი სულისკვეთება, დედააზრი, რა თქმა უნდა ყველაზე უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანი, იქ ხშირად ან სრულებით არ სჩანს, ანდა მისი მხოლოდ ოდნავი ანარეკლი მოიპოვება ხოლმე.

სანამ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის, იმედია უნივერსიტეტი ამას სათანადო ყურადღებას მიაქცევს და ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ თავისი დაარსებისა და წარსულის ისტორიისათვის ყველა, როგორც წერილობითს, ისე ზეპირსა და ნივთიერ წყაროებს, თავს მოუყრის და დაიცავს.

მსოფლიო პროლეტარიატის და ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისა** და საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. **მოლოტოვის** მუდმივი მზრუნველობა და მათი სიტყვები უმაღლესი სკოლის მუშაკთა საკავშირო თათბირზე სამეცნიერო კადრების მომზადების შესახებ ჩვენი უნივერსიტეტის მუშაკთა ძველ არმიას უდიდეს და საპატიო მოვალეობას აკისრებს, რომლის ღირსეულად ასრულებისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკნი, უეჭველია, თავიანთ ცოდნას არ დაზოგავენ და მთელ ძალღონეს შეალევენ თავიანთი წვლილის შეტანას სოციალისტური კულტურის აყვავებაში.

დიდი შესაძლებლობა, დიდი პერსპექტივები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი შვილია. მხოლოდ ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების მეოხებითა და პარტიისა და მთავრობის მუდმივი მზრუნველობით გახდა შესაძლებელი როგორც თვით უნივერსიტეტის არსებობა, ისე მისი ნამდვილი მკვეთრი ზრდა ასე მოკლე დროის განმავლობაში. დღეს თბილისის უნივერსიტეტს წამყვანი მდგომარეობა უკავია საქართველოს სსრ ორ ათეულ უმაღლეს სასწავლებელთა შორის, ხოლო საპატიო ადგილი—სსრ კავშირის საუკეთესო უნივერსიტეტთა შორის.

რუსეთის თვითმპყრობელობა, რომლის მიზანიც მის მიერ დაპყრობილი ერების რუსიფიკაცია იყო, მშობლიურ ენაზე დაწყებითი განათლების მიღების ნებასაც კი არ იძლეოდა, არამც თუ უმაღლესისას. სახარბიელო არ ყოფილა თბილისის უნივერსიტეტის ხვედრი მენშევიკურ საქართველოში. პროფესორები მშიერ ულუფაზე ისხდნენ, სტუდენტების მატერიალურ უზრუნველყოფაზე სტიპენდიებით, საერთო საცხოვრებლებით და სახელმძღვანელოებით შეუძლებელი იყო ოცნება. უნივერსიტეტის შენობა გაუთბობელი და გაუნათებელი რჩებოდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა და პროფესორთა მშობლიური ხალხისა და მეცნიერების ღრმა სიყვარულმა გახადა შესაძლებელი უნივერსიტეტის არსებობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. აქედან კი იწყება უნივერსიტეტის განვითარება მანამდე არნახული ტემპებითა და მოცულობით. იზრდება მეცნიერთა კადრები, იზრდება სტუდენტთა რიცხვი, უნივერსიტეტის ცალკე ფაკულტეტებისაგან იქმნებიან ცალკე უმაღლესი სასწავლებლები (სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, ინდუსტრიული, პედაგოგიური (ქუთაისში და სხვ. ინსტიტუტები). 1930 წელს უნივერსიტეტი დაიყო ცალკე ინსტიტუტებად, ხოლო 1933 წლის იანვრიდან ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ლ. პ. ბერიას ინიციატივით იგი კვლავ აღდგენილ იქნა ახალ საფუძველზე და საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირადად ამხანაგი ლ. პ. ბერიას ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით ვითარდება და იქცევა მძლავრ სამეცნიერო ორგანიზაციად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღის დამთხვევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სასიხარულო დღეებთან იმის მაჩვენებელია, რომ უნივერსიტეტის წარმატებანი არის ორგანიული ნაწილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საერთო მიღწევებისა!

პროფ. **ს. ჯანაშია**

თბილისის უნივერსიტეტის გზა

ქართული უნივერსიტეტის დაარსება, როგორც საერთოდ ნაციონალური კულტურის აღორძინება, მშრომელი მასის გამარჯვებას ელოდა. და აი ამ მასამ გამოიჩინა არაჩვეულებრივი ენტუზიაზმი, როდესაც ქართული მეცნიერების ენტუზიასტთა ჯგუფმა, ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ითავა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმე. დამახასიათებელია, რომ მენშევიკურმა მთავრობამ ეს დიდი საქმე კერძო ინიციატივას დაუთმო და თვითონ არ ითავა.

სულ მოკლე ხანში მშრომელ მასაში და მშრომელ ინტელიგენციაში, რომელთა შორისაც გაიმართა ხელისმოწერა უნივერსიტეტის დასაარსებელი თანხის შესაგროვებლად, იმდენად დიდი თანხა შეგროვდა, რომ შესაძლო გახდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. და მერე ისეთი შიმშილობის დროს, როდესაც ცივი მჭადის შოვნაც კი ძნელი იყო. ეს ისტორიული ფაქტი უნდა აღინიშნოს და გადაეცეს შთამომავლობას.

1921 წლიდან დაწყებული, უნივერსიტეტი იზრდება და იტევს იმდენ ფაკულტეტებს, რომ ესენი ბოლოს ერთად ვეღარ მოთავსდნენ და სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებად გადაიქცნენ.

განსაკუთრებით 1923 წლიდან უნივერსიტეტი გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ. მისი ცოდნის მარაგის და მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება მისი იდეოლოგიური სიმტკიცე და გარკვეულობა, იგი ადგება მარქსისტული მეთოდოლოგიის გზას. მაგრამ ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენ დავძლიეთ მრავალი სხვადასხვა ხასიათის შეცდომები, გავანადგურეთ მტერი, გამოვედით მარქსისტული მეცნიერების ფართო გზაზე და ვივლით ასე სულ წინ და წინ ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ ჩვენი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობითა და მეთაურობით. პროფ. **გ. ნათაძე.**

ესპანეთის მთავრობის ნოტა საფრანგეთისა და ინგლისისადმი

პარიზი, 28 მაისი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის ელჩმა პარიზში პასკუამ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბონეს გადასცა ესპანეთის მთავრობის ნოტა. რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობა თავის ნოტაში ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმ ფაქტის წინააღმდეგ, რომ ალიკანტეს ბომბარდირებას დღემდე სულ მცირედი დაგმობაც კი არ გამოუწვევია ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ, თუმცა ეს სახელმწიფოები მიმდინარე წლის თებერვალში ინიციატორები იყვნენ ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობისა და მეამბოხეთა ხელისუფალთადმი მიმართვისა ღია ქალაქების ბომბარდირების შეწყვეტის შესახებ.

ანალოგიური ნოტა გადაეცა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ესპანეთის ლონდონელი ელჩის საშუალებით.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით პარიზიდან)

აღმოსავლეთის (არაგონის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბალაგერისა (ლერიდის ჩრდილო აღმოსავლეთით) და სეროსის (ლერიდის სამხრეთ-დასავლეთით) რაიონებში რესპუბლიკელთა ჯარებმა გააუმჯობესეს თავისი პოზიციები. სეროსის რაიონში რესპუბლიკელებმა ტყვედ წაიყვანეს 28 მეამბოხე.

ლევანტის სექტორში, ალკალა დე ლა სელვას რაიონში, მეამბოხეებმა მთელი რიგი იერიშების შემდეგ, რასაც ხელს უწყობდა დიდი რაოდენობის არტილერია და ავიაცია, ხელთ იგდეს სიმაღლე 1533 და სანტა-ლუსიას გორაკი. წარმატებითი კონტრიერიშის შედეგად ეს სიმაღლე ისევ რესპუბლიკელებმა დაიბრუნეს. ინტენსიური ბრძოლები სწარმოებს კასტელფორტის რაიონში, სადაც მეამბოხეებმა მძიმე დანაკლისით შესძლეს რამოდენიმედ წინ წაეწიათ თავისი ხაზი.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ავიაციის მოქმედება

ესპანის სააგენტო იუწყება, რომ მეამბოხეთა ავიაციამ 26 მაისს თავდასხმა მოახდინა რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და სოფლებზე, რომლებიც ფრონტის ზურგში იმყოფებიან: 11 საათსა და 45 წუთზე 8 სამმოტორიანმა „სავოიას“ ტიპის თვითმფრინავმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო სოფელ სელრაში (ხერონის პროვინცია). მოკლულია 2 და დაჭრილია 4 კაცი.

14 საათსა და 35 წუთზე „სავოიას“ ტიპის 5 სამმოტორიანმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა კასა დე ლა სელვას (ხერონის სამხრეთ-დასავლეთით). მოკლულია 1 და დაჭრილია 10 კაცი.

19 საათსა და 15 წუთზე ფაშისტურმა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს კასტელიონ დე ლა პლანას. მოკლულია 6 და დაჭრილია 1 კაცი.

19 საათსა და 37 წუთზე იუნკერსის 13 თვითმფრინავი თავს დაესხა ლევანტის სხვადასხვა პუნქტებს. ალმენარეში მათ ჩამოაგდეს 45 ყუმბარა, მონკოფარეში—26 ყუმბარა, ნულესში—24 ყუმბარა და ბურიანაში—20 ყუმბარა.

კასტელიონში ფაშისტურმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს 50 ყუმბარა. 8 ყუმბარა მოხვდა საავადმყოფოს შენობას, რომელიც თითქმის სავსებით დანგრეულია. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული.

უთანხმოება ესპანეთის მეამბოხეთა ბანაკში

პარიზი, 28 მაისი (საკდესი). ესპანის სააგენტო იუწყება ახალ ცნობებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ესპანეთის მეამბოხეთა ბანაკში ადგილი აქვს მწვავე უთანხმოებას. სააგენტო გადმოგვცემს, რომ 26 მაისს, საღამოს, თავის მორიგ გადმოცემაში მეამბოხეთა რადიოს სადგურმა სარაგოსაში დაჟინებითი მოწოდებით მიმართა „ფალანგისტებს“ და „რეკეტისტებს“ შეწყვიტონ ძმათამკვლელი ბრძოლა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ, 27 მაისი (საკდესი). ხენანის პროვინციაში ლანფინის რაიონში ჩინელი ჯარები საერთო კონტრშეტევაზე გადავიდნენ. 27 მაისს, დაახლოებით დილის 4 საათზე, ჩინეთის ჯარებმა უკან დაიბრუნეს ლანფინი, რომელიც 24 მაისს აღებული იყო იაპონელების მიერ. ჩინეთის ჯარებმა სერიოზულად დაამარცხა იაპონელთა მე-14 დივიზია. ეს დივიზია იხევდა ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებით ცაოჯოუსაკენ, რომელსაც ჩინელები იცავენ. იაპონელებთან ბრძოლებში ჩინეთის ჯარებმა ხელთ იგდო დიდი რაოდენობის იარაღი და საჭურველი.

უკანასკნელი ცნობებით, ჩინელმა პარტიზანებმა აიღეს ჩენლიუ (კაიფინის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ამავე დროს ჩინეთის ჯარებმა იაპონელებისაგან გასწმინდა სანიძაი (ლანფინის ჩრდილო-დასავლეთით). ამ პუნქტის აღების შემდეგ ჩინეთის ჯარების კონტრშეტევა გრძელდება. ბრძოლები სწარმოებს აგრეთვე დანშანიას რაიონში.

ცენტრალურ ჩინეთში

მთელი რიგი თავდასხმების შემდეგ ჩინელმა პარტიზანებმა მიაღწიეს საინინის სამხრეთ-დასავლეთის კარიბს (ხანჯოუს ჩრდილო აღმოსავლეთით). იაპონელებმა ჩინელი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნეს დამხმარე ძალები 1000 კაცის შემადგენლობით.

შანხაი, 27 მაისი (საკდესი). გაზეთ „დამეივანბაოს“ ცნობით, იაპონელებმა ჯეძიანის პროვინციის სანაპიროებთან თავი მოუყარეს 30 სამხედრო გემს. ამავე დროს ხანჯოუსა და ფუიანის რაიონში, როგორც გაზეთი ამტკიცებს, თავმოყრილია 30 ათასი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა ჯარები, რომლებიც ემზადებიან მდინარე ძიანტანზე გადასვლისა და შეტევის დაწყებისათვის ჩინეთის პოზიციების წინააღმდეგ ჯეძიანის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში.

სამხრეთ ჩინეთში

ლონდონი, 27 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ჰონკონგელი კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად ჩინეთის სამხრეთ სანაპიროებთან თავმოყრილია იაპონიის 38 სამხედრო გემი. იაპონიის გემების უმრავლესობა მაკაოს მახლობლად იმყოფება. დანარჩენები კი ბიასის ყურეში (ჰონკონგის ჩრდილო-აღმოსავლეთით) და სვატოუს რაიონში დგანან.

გაზეთ „დეილი მეილის“ ჰონკონგელი კორესპონდენტის ცნობით, ჰონკონგის რაიონის იმ კუნძულებზე, რომლებიც ხელთ იგდეს იაპონელებმა, იმყოფება დაახლოებით 4 ათასი კაცისაგან შემდგარი იაპონელთა საზღვაო ქვეითი ჯარი.

სამხედრო წრეები იწონებენ გენერალ უგაკის დანიშვნას

ტოკიო, 28 მაისი (საკდესი). გაზეთი „ასახი“, ეხება რა გენერალ უგაკის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის საკითხს, აღნიშნავს, რომ სამხედრო წრეები სავსებით იწონებენ ამ დანიშვნას. გაზეთის სიტყვით, „უგაკის პოლიტიკური ნიჭი საერთოდ ცნობილია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იაპონიის დიპლომატია გაძლიერებული იქნება“.

ომის დროის დიპლომატია, სწერს გაზეთი, განხორციელებული იქნება არმიასთან მჭიდრო თანამშრომლობით. იაპონიამ ახლა „დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა“ უნდა გაატაროს. უგაკი, რომელსაც „დიდი გამოცდილება აქვს იაპონიის კონტინენტალური პოლიტიკის გატარებაში“, აცხადებს გაზეთი, უსათუოდ მიაღწევს „ბრწყინვალე წარმატებებს“ საგარეო პოლიტიკაში.

გესტაპოს ტერორი ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრე რაიონებში

პრაღა, 28 მაისი (საკდესი). გესტაპოს (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) ტერორი ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრე რაიონებში ზემო სილეზიაში არ სწყდება. გლეივიციდან მიღებული ცნობებით, ღამით, 25 მაისს, ჰინდენბურგის რაიონში (ქვანახშირის მრეწველობის დიდი პუნქტი) დაპატიმრებულია 156 სამთამადნო მუშა.

ვარშავა, 28 მაისი (საკდესი). გაზეთ „ილუსტრიროვანნი კურიერ ცოძენის“ ცნობით, რატიბორეში (გერმანიის სილეზია) ჰიტლეროველ მოიერიშეთა ჯგუფი თავს დაესხა პოლონელ მუშას ვუიციკს და სასიკვდილოდ სცემა მას იმიტომ, რომ ვუიციკი თავის ამხანაგს ესაუბრებოდა პოლონურ ენაზე. ვუიციკი გარდაიცვალა ჰოსპიტალში.

შვეციის კომპარტიის ც. კ-ის პლენუმი

სტოკჰოლმი, 27 მაისი (საკდესი). გუშინ გაიხსნა შვეციის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმის გახსნისას ამხ. ლინდეროტმა აღნიშნა მთელი რიგი წარმატებები, რომელსაც მიაღწია პარტიამ შვეციაში ერთიანი ფრონტისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ამხ. ლინდეროტმა განაცხადა, რომ ც. კ-ის ახლანდელმა პლენუმმა საერთაშორისო მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით უნდა გადასწყვიტოს მეტად პასუხსაგები ამოცანები. შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოხსენებები პოლიტიკური მდგომარეობისა და პარტიის ამოცანების შესახებ. პლენუმს სტუმრების სახით ესწრებიან ნორვეგიისა და დანიის კომპარტიის წარმომადგენლები.

ჩეხოსლოვაკია-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება

პრაღა, 28 მაისი (საკდესი). როგორც პრაღის გაზეთები იუწყებიან, დამთავრდა ჩეხოსლოვაკია-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკების პირველი ეტაპი, რომელიც დაიწყო ბერლინში 9 მაისს. მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება ანგარიშსწორების პირობებზე ვაჭრობის დარგში. ამჟამად მოლაპარაკება სწარმოებს კონტინგენტისა და საბაჟო განაკვეთების საკითხებზე, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ოპერაციებთან ავსტრიაში.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ივლისის დამდეგს დაიწყება ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის სავაჭრო მოლაპარაკება, რომელიც მიზნად ისახავს კონტინგენტების გადასინჯვას ორივე სახელმწიფოს შორის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის განზრახულ გაფართოებასთან დაკავშირებით.

ომის გამჩაღებელთა საზიზღარი გამოლაშქრება

პარიზი, 28 მაისი (საკდესი). ფაშისტთა ავიაციის მიერ სერბერის ბომბარდირება აღშფოთებას იწვევს საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ფართო წრეებში. „ევრი“ გამოვიდა დღეს სათაურით: „უნდა დაიხუროს თუ არა საზღვარი? დიახ, უნდა დაიხუროს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა საავიაციო თავდასხმების წინააღმდეგ“. მემარჯვენე „ორდრი“ მოითხოვს, რათა „დაიხუროს საზღვარი იტალიის თვითმფრინავებისათვის“. „ლუმანიტე“ სწერს, რომ „არავის, ვისაც კი მშვიდობიანობა და საფრანგეთი უყვარს, არ შეუძლია მოეპყრას აღუშფოთებლად იმ ფაქტს, რომ საფრანგეთის მთავრობამ სულ მცირე პროტესტიც კი არ განუცხადა მათ, ვინც პასუხისმგებელია იტალია-ფრანკოს ბანდიტების მიერ საფრანგეთის ტერიტორიაზე დაღვრილი სისხლისათვის“.

„საფრანგეთის საზენიტო ბატარიებს, განაგრძობს „ლუმანიტე“, არ აუტეხნიათ სროლა ფაშისტ თავდამსხმელთათვის. დაუთმო იმის მსგავს პროვოკაციებს, როგორიც მოწყობილ იქნა სერბერში ადგილობრივი სახალხო დღესასწაულის დღეს, რათა დიდძალი მსხვერპლი ყოფილიყო გამოწვეული, —ეს იმას ნიშნავს, რომ მოამზადო ომის გამჩაღებელთა ახალი საზიზღარი გამოლაშქრება“.

„ევრი“ იუწყება, რომ გერმანიის ელჩთან — მაკენზენთან იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩიანოს უკანასკნელი საუბრის დროს ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „უკვე დროა განახლებულ იქნას პირატული აქტები, როგორც ეს წარსულ შემოდგომაზე იყო. ინგლისის გემის ბომბარდირება და სერბერის ბომბარდირება ეს არის არა იზოლირებული აქტები, არამედ პირატულ მოქმედებათა ახალი კამპანიის დასაწყისი“.

პირველ რიგში, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები: ს. ჭილაია, ი. ბეგლაროვი, ს. კობიძე, ა. კიკვიძე, ნ. ლომსაძე, ნ. დევიძე (პარტკომის მდივანი). მეორე რიგში სტუდენტები: დ. იოსელიანი (ორდენოსანი), ვ. ინმაკოვა, ა. გასვიანი, ს. ჩხაიძე, რ. სარქისიანი და ხ. მახარაძე.

ფოტო რ. აკოფოვისა

მოწინავე მეცნიერების ახალგაზრდა კადრები

ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდებიან ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს, კერძოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათ შორის უკვე ბევრმა მოიხვეჭა მოწინავე საბჭოთა მეცნიერის სახელი. სახ. უნივერსიტეტის კედლებში აღიზარდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც არიან: ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ლ. გოკიელი, ე. კუპრაძე, ვ. თოფურია და სხვ.

ყოველწლიურად იზრდება ახალგაზრდა მეცნიერთა რიცხვი. თუ 1918 წელს თბილისის სახ. უნივერსიტეტს 2 ასპირანტი ჰყავდა, დღეს მათი რიცხვი 100-მდე აღწევს. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ასპირანტების მომზადების საქმეს.

ყოველწლიურად უმჯობესდება ასპირანტთა მატერიალური მდგომარეობა. თუ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ასპირანტებს არ გააჩნდათ მატერიალური საშუალებანი, საბჭოთა ხელისუფლების დროს რადიკალურად შეიცვალა მათი მდგომარეობა. ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით, ასპირანტების სტიპენდია 400 მანეთის რაოდენობით განისაზღვრა. ამას გარდა, მათ წლიურად ეძლევათ ლიტერატურისათვის 400 მანეთი. ასპირანტები უზრუნველყოფილი არიან ბინებით და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყველა პირობაა შექმნილი ახალგაზრდა მეცნიერული ძალების აღზრდისა და დაწინაურებისათვის. ბედნიერია ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა. ჩვენს წინაშე უსაზღვრო სივრცეებია გადაშლილი. რა შეიძლება იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე ცხოვრობდე და სწავლობდე სტალინურ ეპოქაში, როდესაც შექმნილია უდიდესი პერსპექტივები მეცნიერების აყვავებისათვის.

დიდი სტალინის სიტყვა, მიმართული უმაღლესი სკოლის მუშაკებისადმი, ახალი საბუთია ახალგაზრდა მეცნიერული ძალებისადმი იმ მხურვალე სიყვარულისა და ყოველდღიური ზრუნვისა, რასაც იჩენდა და იჩენს ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და კერძოდ მეცნიერების უდიდესი ადამიანი ამხანაგი სტალინი. ამხანაგ სტალინის სიტყვა აღგვაფრთოვანებს კიდევ უფრო დაუღალავი და ენერგიული მუშაობისათვის მეცნიერების დასაუფლებლად.

ჩვენ, სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა კადრები, ასპირანტები, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი მზრუნველობა გავამართლოთ და ვიქნებით ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული პატრიოტები.

ს. ჭილაია

◆ ◆ ◆

სტუდენტი და პროფესორი

ხალხთა გენიალური ბელადის დიდი სტალინის სიტყვამ უმაღლესი სკოლების მუშაკთა თათბირზე აღაფრთოვანა და ახალი შემოქმედებითი ძალა შემატა სოციალიზმის ქვეყნის მეცნიერებს, ახალი შუქი მოჰფინა მეცნიერების განვითარების გზას.

საბჭოთა სტუდენტობა საპატიო და საოცნებო სახელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ჩვენი უნივერსიტეტი, უმაღლესი სასწავლებლები შემოქმედების, იმედების და სიხარულის წყაროდ იქცა ჩვენი ახალგაზრდობისათვის, მაშინ, როდესაც ძველი დროის სტუდენტობას სულს უხუთავდა ცარიზმის დრაკონული კანონები, ცრუ მეცნიერებათა უნაყოფო დაზეპირება. ქართველი ხალხის უდიდესმა პოეტმა ილია ჭავჭავაძემ თავისი სტუდენტობა 60-იანი წლების პეტერბურგში უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა. ამ პერიოდის მისი წერილები ნათესავებისადმი აღსავსეა მწარე განცდებით, ის ყოველ წერილში უჩივის გაჭირვებასა და აუტანელ პირობებს.

ძველად პროფესურასა და სტუდენტებს შორის ჩინეთის კედელი იყო აღმართული.

1874 წელს „დროების“ კორესპონდენტი მოსკოვიდან ნაღვლიანად შენიშნავდა: „უფრო საფიქრებელი იყო, რომ ბალები დააახლოვებდა პროფესორებს სტუდენტებთან და უკანასკნელებს ერთმანეთთან, მაგრამ ვერც ამას ვხედავთ შესრულებულს. პროფესორები მიდიან ბალზე რამდენიმე საათის ვადით, მიბრუნდ-მობრუნდებიან, გაიარ-გამოიარებენ მარტოკა, ხმას, რასაკვირველია, არავის გასცემენ, როგორც ეკადრებათ ფილოსოფოსებს, და წავლენ თავთავიანთ სახლებში. როგორც პროფესორებს არა აქვს სტუდენტებთან არავითარი კავშირი, ისე უკანასკნელებს არა აქვს არავითარი ერთობა თავის შორის. ამ განცალკევებაზე უთვალავ მიზეზებს აქვს გავლენა“.

ძველი უნივერსიტეტის პროფესორების უმრავლესობა თვითკმაყოფილებით ჩაკეტილი იყო „მეცნიერების ქურუმთა ნაჭუჭში, მეცნიერების მონოპოლისტთა ნაჭუჭში“. ისინი შორს იდგნენ სტუდენტთა მასებიდან.

დღეს სოციალიზმის სამშობლოში ნამდვილი საბჭოთა მეცნიერი სტუდენტისათვის გზის მაჩვენებელი ჩირაღდანია, მეგობარი, მზრუნველი, მოსიყვარულე და გულისხმიერი. საბჭოთა მეცნიერისათვის ყველაზე სანუკვარია საბჭოთა სტუდენტობის აზრი მასზე. ამიტომ იგი ყოველთვის ახლოა სტუდენტთა მასებთან. ჭეშმარიტ საბჭოთა მეცნიერს ყოველთვის აინტერესებს სტუდენტის ბედი, ხელს უმართავს მას, მისი ბინის კარები ღიაა საბჭოთა სტუდენტებისათვის.

ჩვენი დიადი სამშობლოს სოციალისტურმა ცხოვრებამ ხორცი შეასხა კაცობრიობის საუკეთესო ადამიანთა, უდიდეს მეცნიერთა, მოწინავე ახალგაზრდობის ოცნებებსა და მისწრაფებებს.

გ. აბზიანიძე

მასობრივი ფიზკულტურული დღესასწაული

დღეს, 30 მაისს, თბილისში გაიმართება მასობრივი ფიზკულტურული დღესასწაული, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი. ამ დღესასწაულის გამართვა განზრახული იყო 18 მაისს, მაგრამ უამინდობამ შეუშალა ხელი და დღესასწაული 30 მაისისთვის გადაიტანეს.

30 მაისს საქართველოს ფიზკულტურელები რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოიყრიან თავს დედაქალაქში, რომ გვიჩვენონ საკუთარი მიღწევები, მაღალი ოსტატობა და მზადყოფნა დაიცვან დიადი სოციალისტური სამშობლო, იყვნენ თავდადებულნი და უსაზღვროდ ერთგულნი ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა, ბედნიერი საბჭოთა ხალხისა და დიდი სტალინისა.

დღესასწაული იყოფა ორ ნაწილად: პარადი-დემონსტრაცია და შეჯიბრებები.

პარადი დაიწყება დილის 11 საათზე ა.-კ. ფედერაციის მოედანზე. აქ, მთავრობის ტრიბუნასთან, საზეიმო მარშით გაივლიან თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთის და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ჩამოსულ ფიზკულტურელთა კოლონები, ნორჩი ფიზკულტურელები, მოწაფეები და ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სახელოვანი ფიზკულტურელები.

პარადის დამთავრების შემდეგ იმავე მოედანზე გაიმართება საქართველოს საუკეთესო სპორტული კოლექტივების გამოსვლები.

პარადისა და დემონსტრაციის შემდეგ თბილისის ფიზკულტურულ მოედნებზე, სტადიონებზე და სპორტდარბაზებში გაიმართება მოწინავე სპორტული კოლექტივების შეჯიბრებები. ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის ველო-დრომზე შესდგება ველოსიპედისტების შეჯიბრება. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ჩატარდება ფრენბურთში შეჯიბრება. აქვე გაიმართება კალათბურთელთა შეჯიბრება. ჩოგბურთის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის საუკეთესო ჩოგბურთელები. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში ფრენბურთელებისა და კალათბურთელების შეჯიბრების შემდეგ გაიმართება შეჯიბრება სიმძიმეების წევაში. საჭადრაკო-საშაშო კლუბში შესდგება ჭადრაკის ოსტატის ვ. გოგლიძის ერთდროული თამაშის სეანსი. ფიზკულტურის პარკში ჩატარდება მეორე და მესამე თანრიგის მოკრივეების მატჩი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

31 მაისს.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: პარტია. რუსულ ენაზე კონსულტანტი ამხ. ყიფშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: აღმოსავლეთი ევროპა მონღოლ დამპყრობელთა ძალაუფლების ქვეშ. რუსულ ენაზე კონსულტანტი ამხ. სუმაროკოვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ალექსანდრე დავითის-ძე გულიტაშვილს, არშაკ იოსების-ძე ქსოვრელს (კასპი) და აკაკი დავითის-ძე მიქაბერიძეს (ქ. შორაპანი) სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. საკურაშვილთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

○

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ვლადიმერ ყარამანის-ძე გეგენავას და იოსებ კონსტანტინეს-ძე კეკელიას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. დოლიძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 20).

31 მაისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის პარტაქტივისათვის შესდგება ამხ. **ტალახაძის** მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: ორი მსოფლიო — ორი საარჩევნო სისტემა.

შესვლა შესაშვები ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

30/V	წარმოდგენა 183 სულელი
31/V	ღია წარმოდგენა სამშობლო
1/VI	წარმოდგენა 184 სამშობლო

დასაწყ. 8 საათზე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წლის სეზონი

31 მაისს ღია წარმოდგენა
გ. მდივანი
სამშობლო
დრამა 3 მოქმედებად და 6 სურათად.
დადგმა დ. ალექსიძის, მხატვარი დ. თავაძე, მუსიკა რ. გაბიჩვაძის.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე 70

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

30/V	წარმოდგენა არ არის
31/V	მუდმ. ადგ. ტალ. № 203 სიმფონიური კონცერტი დირიჟორი ნ. რაბინოვიჩი სოლისტები: დ. ანდღულაძე — დამს. არტ., გ. მაჭუტაძე (როიალი) დასაწყისი 9 საათზე.
1/VI	მუდმ. ადგ. ტალ. № 204 აბესალომ და ეთერი

დასაწყისი 8 ს. 30 წ.

საქფილმის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-02-29

საზაფხულო სეზონის გახსნა

1 ივნისი, ტალონი № 1
დიდი კონცერტი
ორ დიდ განყოფილებად.

2 ივნისი, ტალონი № 2
ძველი ვოდევილების საღამო
1. ოინბაზი ვოდევ. 1 მოქმ.
2 მშვენიერი ელენე კომ. 2 მოქმ.

დაწვრილებით აფიშებში.
ბაღი — ღია ესტრადა — ყოველდღე პროგრამა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
დასაწყისი საღ. 9 ს. ბაღში ხასიათე ორკესტრი, კიოსკები, რესტორანი. 40

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

30/V	მური

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	ახალი ხმოვანი კომედია ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხანოვის პროსპ., 91	საზაფხ. შენობაში ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 8-30 საზამთრო შენობაში პეტრე I დასაწყ. 6-30
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	ახალი ხმოვ. ფილმები: 1) პედრო, 2) უცხოელი ქალი დასაწყ. 6-30
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	მხატვრული ფილმი ძარიშხალი დასაწყ. 6-30
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის, 8	ხმოვანი ფილმი დაკარგული სამოთხე რუსულ ენაზე. დასაწყ. 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	საზაფხ. შენობა კეტერი საზამთრო შენობა ფიცი
არსენა კომუნალური ქ., № 9	ახალი ხმოვანი კომედია ვოლგა-ვოლგა დასაწყ. 6-30
კომინტერნი ბრძოლის ქ. № 222	ხმოვანი კომედია მდიდარი საძლო დასაწყ. 8-30
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	ხმოვანი კინო-ნარკვევი 1 მაისი მოსკოვში

ამ.-კავ. რკინიგზის დაცვის სამმართველო, პარტიული კომიტეტი და ადგილკომი მწუხარებით იუწყებიან მესამე რაზმის ექიმის

აპოლონ ლუკას-ძე ტყემალაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 მაისს, გამოსვენება დღის 3 საათზე კალინინის ქ. № 47.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროტრესტი
აუწყებს

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზით არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ ტყიბულის მაღაროების ტრესტის ბუღალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3465 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 17861

ა.-კ. რკინიგზის ენერგომომარაგების მე-2 უბანი და ა.-კ. რკ გზის ელექტრო-დეპოს აღმშენებლობა ჩრდილო პარკი
აუწყებს

ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და ახლაც მუშაობს და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ ა.-კ. რკ. გზის ენერგომომარაგების მე-2 უბანში და ელექტრო-დეპოს ბუღალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3522 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.

სესხის მქონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.

სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მქონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. 17860

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ყველა ამომრჩეველთა, საარჩევნო უბნებისა და ორგანიზაციების **საყურადღებოდ.**

სახელგამის ყველა მაღაზიაში და კიოსკში, როგორც ქალაქად, ისე რაიონებში, იყიდება საარჩევნო ლიტერატურა და პლაკატები ქართულ, სომხურ, რუსულ, აზერბაიჯანულ და ოსურ ენებზე და იგივე ლიტერატურა დაკომპლექტებული.

100 სახელგამი.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **კ. ს. სიგუა** აცხადებს, რომ ა. წ. 3 ივნისს დღის სრულ 1 საათზე გოგოლის ქ. № 44-ში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მექანიკური ქარხანა „სანტექსტროის“ 4 სხვადასხვა სახარატო დაზგას, შეფასებულს 13.500 მანეთად. აღნიშნული ქონება გაიყიდება ლენრაიონის საბჭოს სავაჭრო-სასაწყობო სამმართველოს ვალის დასაფარავად, თანახმად სანოტარო კანტორის 1937 წლის 20 ოქტომბრის წარწერისა № 30112. 106

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საბჭო აცხადებს,
რომ მის საჯარო სხდომაზე, 10 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, სოც. ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) **მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად** ასისტენტი **დამიანე პეტრეს-ძე სვანიძე** დაიცავს დისერტაციას შემდეგ თემაზე:
„ზოგიერთ ცილოვან მჟავათა გავლენა ბალანტიდიუმ კოლის ზრდა-გამრავლებაზე კულტურაში“

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. ნიკ. ყიფშიძე და პროფ. **ს. კანდელაკი.**

მსურველთ შეუძლიანთ გაეცნონ შრომას ყოველდღე 2—5 საათ მედინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივან დოც. ვ. ანდღულაძესთან.

1180 თბ. სამედ. ინსტიტუტის საბჭო.

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40.
მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—1449